ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

იფ,ფსბ-რდბჰფ

@$ 2 @% vfhnb7 @)!@

171 (5761)

afcb5 #) stshb

!) ვფჰნბლფყ
ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+
სეიტო მაცუმოტო
მკვიდრთა სამყარო
შემდეგი — სირილ ჰეირი
წმინდა ინგლისური მკვლელობა
წიგნი და გაზეთი ერთად 2,5 ლარი





# ეკა ბესელია: ივანიშვილი ქუჩის აქციებზე უარს არ იტყვის

გვ.5

'ქართული ოცნების' წარმომადგენელი ეკა ბესელია აცხადებს, რომ არჩევნების გაყალბების შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილი ქუჩაში გავა და თავის ხმებს დაიცავს.

# ალეკო შალამბერიძე: ამერიკასთან დაპირისპირება სააკაშვილს ძვირი დაუჯდება!

გვ.3



ამერიკის მთავრობა სააკაშვილს დაუთვლის, რას მოახმარა მათი მიცემული მილიონები!



გვ.2

# აშშ-ის მომავალი ელჩი საქართველოში: არჩევნები ქმნის შესაძლებლობას, პირველად მოხდეს ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემა"



გვ.6

# სანდრო ბრეგაძე: ხელისუფლება პროვოკაციებისთვის ემზადება?

„ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ არჩევნები გაყალბდება"



# ივანიშვილი ოპოზიციას ერთმანეთთან აპირისპირებს

რა პრეტენზიები აქვს ნანა კაკაბაძეს ქართულ ოცნებასთან

გვ.4



# საქართველო ევროკავშირზე უარს არ იტყვის

გვ.5



# ლაშა ღლონტი: არ მინდა, ცოლმა ჩემს სიმღერებზე იეჭვიანოს"

გვ.7

ISSN 1987-9385

ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+
გფეფჴხჵ
* კფჰბ
& ვფჰნბლფყ



შალვა ჯოხაძე

# აშშ-ის მომავალი ელჩი საქართველოში: არჩევნები ქმნის შესაძლებლობას, პირველად მოხდეს ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემა“

**რამდენიმე კვირის წინ გაცხადდა, რომ შემოდგომაზე აშშ-ის ელჩს საქართველოში ჯონ ბასს უფლებამოსილების ვადა გასდის და ის რიჩარდ ნორლანდმა უნდა შეცვალოს. ამ დღეებში სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტში საქართველოში ამერიკის ელჩად რიჩარდ ნორლანდის დამტკიცების მიზნით მოსმენები დაიწყო. პირველ სხდომაზე სენატორებმა ნორლანდის განცხადებები მოისმინეს და მისი მიზნებით დაინტერესდნენ. ნორლანდმა საქართველო-ამერიკის ურთიერთობების მნიშვნელობაზე ისაუბრა, გაიხსენა პრეზიდენტ სააკაშვილის უკანასკნელი ვიზიტი და შეხვედრა თეთრ სახლში, აღნიშნა, რომ მიღწეულ პროგრესთან ერთად, საქართველოს მაინც ბევრი რჩება გასაკეთებელი.**




**ამერიკის მთავრობა სააკაშვილს დაუთვლის, რას მოახმარა მათი მიცემული მილიონები!**

ნორლანდმა აღნიშნა, რომ მის საქმიანობებს შორის, განსაკუთრებით კი წინასაპარლამენტო არჩევნების პერიოდში და მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების ფონზე, მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცესების გაძლიერებას, საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობების გაუმჯობესების ხელშეწყობას... ნორლანდი უკვე საქმის კურსშია, თუ რა ვითარებაში მიმდინარეობს საქართველოში წინასაარჩევნო კამპანია.

– მოგვდის ინფორმაცია ოპოზიციური კანდიდატების შევიწროების შესახებ, რაც ძალიან გვაწუხებს. კონტროლის პალატის როლი, პარტიათა დაფინანსების კანონი საქართველოსა და საერთაშორისო თანამეგობრობაში დიდ შეშფოთებას იწვევს. ჩვენმა მისიამ ამ საკითხის გამო საქართველოს ხელისუფლებას შეშფოთება უკვე განუცხადა როგორც საჯარო, ისე პირად საუბრებში და, თუ ეს დადასტურდება, ჩემი ფუნქცია იქნება გულმოდგინე მონიტორინგი იმისა, თუ როგორ იცავს საქართველო იმ პრინციპებს, რომლებიც ჩვენთვის ძვირფასია. ამერიკა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის ხელშეწყობისათვის მილიონობით დოლარს ხარჯავს და ჩვენ ამ ფონდების ყურადღებიანი გამგებლები უნდა ვიყოთ, რათა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენთვის მოსალოდნელ შედეგებს ვიღებთ. დაბოლოს, მივანიშნებ: თუ გავითვალისწინებთ საქართველოს დაინტერესებასა და სწრაფვას ნატო-ს წევრობისკენ და ჩვენს მხარდაჭერას, ის, თუ როგორ ჩატარდება ეს არჩევნები, მეტად მნიშვნელოვანი ლაკმუსის ქაღალდი იქნება, – ნორლანდის ასეთი განცხადება ვრცელდება სოციალურ ქსელებში.

რიჩარდ ნორლანდი, რომელიც აშშ-ის ყოფილი ელჩია უზბეკეთში, პრეზიდენტმა ობამამ საქართველოში აშშ-ის ელჩის თანამდებობაზე თებერვალში წარადგინა. დიპლომატიურ სამსახურში 32 წლის სტაჟის მქონე ნორლანდი 90-იანი წლების დასაწყისში ხანმოკლე დროით საქართველოშიც მსახურობდა აშშ-ის წარმომადგენლის და საქართველოში ეუთოს მისიის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის რანგში. 2007-2010 წლებში უზბეკეთში ელჩობამდე, ნორლანდი, რომელიც ამჟამად ვაშინგტონში ეროვნულ სამხედრო კოლეჯში საერთაშორისო ურთიერთობებში მრჩევლის და ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობას იკავებს, ორი წლის განმავლობაში ქაბულში ელჩის მოადგილე იყო. პრეზიდენტ კლინტონისა და ბუშის ადმინისტრაციებში იგი ეროვნული უშიშროების საბჭოში ევროპულ საკითხებს კურირებდა, ხოლო 2003-2005 წლებში ლატვიაში ელჩის მოადგილედ მუშაობდა. რუსულ, ფრანგულ, ნორვეგიულ და ლატვიურ ენებზე მოსაუბრე რიჩარდ ნორლანდი 1995-1998 წლებში დუბლინში აშშ-ის საელჩოში პოლიტიკურ მრჩევლად მუშაობდა...

სივილ ჯორჯია რიჩარდ ნორლანდის სენატში გამართული მოსმენის შესახებ დეტალურ ინფორმაციას აქვეყნებს. თავდაპირველად, ნორლანდმა აღნიშნა, რომ წელს აშშ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების 20 წლისთავი აღინიშნება. გაიხსენა რა პრეზიდენტ ობამას სიტყვები, მან თქვა, რომ ამ ხნის განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია „მყიფე სახელმწიფოდან“ ისეთ სახელმწიფოდ გარდაქმნაში, რომელიც წარმატებით ამცირებს წვრილმან კორუფციას; ახდენს სახელმწიფო ინსტიტუტების და მომსახურეობის მოდერნიზაციას და აშენებს დემოკრატიულ ქვეყანას. მისი თქმით, საქართველომ დაადასტურა, რომ „სანდო პარტნიორია“ ისეთ საკითხებში, როგორიცაა ავღანეთი, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა და ვაჭრობა.

– რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მინდა ხაზი გავუსვა, რომ აშშ-ის ერთგულება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ ურყევია. ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ განაგრძობს ძალისხმევას, რათა დაარწმუნოს რუსეთი, შეასრულოს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით აღებული ვალდებულებები. აშშ გააგრძელებს მუშაობას უფრო ფართო კუთხით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესების მნიშვნელოვან ამოცანაზე. ჩვენ კვლავაც ვეწინააღმდეგებით რუსული ჯარების ყოფნას ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ძლიერ მხარდაჭერას ვუცხადებთ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას; ეს პრინციპის საკითხია, – განაცხადა ნორლანდმა და დასძინა, რომ აშშ კვლავაც აქტიურად იქნება ჩართული ჟენევის მოლაპარაკებებში.

სივილ ჯორჯიას ცნობით, ნორლანდი აცხადებს, რომ აშშ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცესების გაძლიერებას, განსაკუთრებით შემოდგომაზე დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნებისა და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების კონტექსტში.

– არჩევნები საქართველოსთვის ქმნის განსაკუთრებულ შესაძლებლობას, რომ პირველად მოხდეს ძალაუფლების მშვიდობიანი და სრულად დემოკრატიული გადაცემა. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები საქართველოს ევროატლანტიკურ სტანდარტებთან და ინტეგრაციასთან დააახლოვებს. ამის მისაღწევად, საქართველოს მთავრობამ უნდა განაგრძოს ის რეფორმები, რომლებსაც დღემდე ახორციელებს, რათა ხელი შეუწყოს მეტ პოლიტიკურ კონკურენციას, შრომით უფლებებს, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობასა და მედიის ხელმისაწვდომობას. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი მთავარი ინტერესის ხელის შეწყობა, რომელიც საქართველოს გრძელვადიან უსაფრთხოებას და სტაბილურობა მოიცავს, პირდაპირ კავშირშია მთავრობის მხრიდან შემდგომი დემოკრატიული რეფორმების გატარებასთან, – განაცხადა ნორლანდმა სენატში.

დემოკრატიისა და მოახლოებული არჩევნების თემა საკომიტეტო მოსმენაზე მოგვიანებით კვლავ გახდა მსჯელობის საგანი, როცა დემოკრატმა სენატორმა, ბენ კარდინმა ელჩობის კანდიდატს შეკითხვა დაუსვა საქართველოში ოპოზიციის იმ ბრალდებების შესახებ, რომ მათ სამართლიანი კონკურენციის საშუალება არ ეძლევათ.

– სრულად დემოკრატიული სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გზაზე საქართველომ პროგრესს მიაღწია. მაგრამ, როგორც თქვენ აღნიშნეთ, სრულიად რეალური წუხილები არსებობს პოლიტიკური ძალებისთვის თანაბარი პირობების შექმნასთან დაკავშირებით, – უპასუხა ნორლანდმა.

ნორლანდის თქმით, ვრცელდება ცნობები იმის შესახებ, რომ ხდება ოპოზიციური კანდიდატების შევიწროება. პოლიტიკურ ფინანსებთან მიმართებით კონტროლის პალატის როლი საქართველოსა და საერთაშორისო თანამეგობრობაში დიდ შეშფოთებას იწვევს.

– ჩვენი დიპლომატიური მისია თბილისში საქართველოს ხელისუფლებასთან საჯაროდაც და კერძო საუბრებშიც აღნიშნავს ამ წუხილების შესახებ და, საქართველოში ელჩად დამტკიცების შემთხვევაში, ჩემი ამოცანა იქნება, რომ ძალიან ყურადღებით დავაკვირდე საქართველოს მიერ იმ პრინციპების დაცვას, რომლებსაც ჩვენ ასე ვაფასებთ. ეს ჩემი მისიის მთავარი პრიორიტეტი იქნება. ამერიკის შეერთებული შტატები უკვე ხარჯავს მილიონობით დოლარს, რათა დაეხმაროს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის ხელშეწყობას და ჩვენ ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ, რათა დავრწმუნდეთ, რომ იმ შედეგებს ვიღებთ, რისი მიღწევაც გვსურს, – ნორლანდის გამოსვლის ტექსტის ასეთ თარგმანს გვთავაზობს სივილ ჯორჯია.

ნორლანდის თქმით, საქართველოს დემოკრატიულ რეფორმებსა და მის ევროატლანტიკურ ინტეგრაციას შორის ძირეული კავშირია.

– საქართველოს ინტერესებისა და მისი ნატო-ში მისწრაფების გათვალისწინებით, ასევე ამ მისწრაფებისადმი ჩვენი მხარდაჭერის გათვალისწინებით, ის, თუ როგორ ჩატარდება ეს არჩევნები, იქნება მნიშვნელოვანი ლაკმუსის ტესტი. ჩვენ ყურადღებით დავაკვირდებით, რათა დავრწმუნდეთ, რომ ეს არჩევნები ნატოს სტანდარტების შესაბამისად ჩატარდება. ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები ყურადღებით აკვირდებიან, თუ როგორ ჩატარდება არჩევნები, რათა დაადგინონ, შეესაბამება თუ არა ის იმ კრიტერიუმებს, რომელთა შესრულებას ნატოს წევრი ქვეყნისგან ელიან, – განაცხადა ნორლანდმა.

ნორლანდის შეფასებით, არსებობს რეალური წუხილები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხდება ამ არჩევნების გარკვეული ასპექტების განხორციელება – ესაა ოპოზიციის შევიწროება და მათი მიზანია, რომ თანაბარი პირობები იყოს უზრუნველყოფილი.

– ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ რომელიმე კონკრეტულ პირზე ვართ ფოკუსირებული. რისი გაკეთებაც გვინდა, ისაა, რომ დავიცვათ თავად დემოკრატიული პროცესი. ვფიქრობ, საქართველოს ოფიციალური პირები უკვე იწყებენ იმის გაგებას, რომ ისინი დაკვირვების ქვეშ არიან, რომ ხდება მონიტორინგი და რომ ეს ნატო-ში გაწევრიანების გზაზე ლაკმუსის ტესტს წარმოადგენს. ვიმედოვნებთ, რომ ისინი სწორ ნაბიჯებს გადადგამენ, – დასძინა ნორლანდმა.

აშშ-ის ელჩობის კანდიდატმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს ნატოში მისწრაფებებისადმი აშშ-ის მხარდაჭერა და განაცხადა, რომ მაისში, ნატოს ჩიკაგოს სამიტზე მოხდება ალიანსში გაწევრიანებისთვის საჭირო კრიტერიუმების დაკმაყოფილების გზაზე საქართველოს პროგრესის ხაზგასმა.

სივილ ჯორჯიას ცნობით, საქართველოს ნატოში ინტეგრაციის შესახებ რესპუბლიკელი სენატორის რიჩარდ ლუგარის კითხვის საპასუხოდ ნორლანდმა გაიხსენა ალიანსის განცხადება, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი.

– ამრიგად, საქმე ეხება იმას, თუ როგორ და როდის მოხდება ეს. ნატოს წევრობისკენ რაიმე ერთი გზა არ არსებობს. როგორც მე ვიცი, ამჟამად წლიური ეროვნული პროგრამა და ნატო-საქართველოს კომისია ის ძირითადი მექანიზმებია, რომლის ფარგლებშიც საქართველო და მოკავშირეები საქართველოს წევრობის საკითხს განიხილავენ, – აღნიშნა ნორლანდმა.

მომავალმა ელჩმა ასევე განაცხადა, რომ მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა იმ ნაბიჯებს, რომელსაც საქართველო უკვე დგამს და მათ შორისაა მისი წვლილი აისაფ-ის მისიაში, რეფორმები თავდაცვის სფეროში, ასევე ნაბიჯები დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების მიმართულებით. მისი მტკიცებით, ეს ყველაფერი იმ პაკეტის ნაწილია, რომელიც ნატოს წევრობის კრიტერიუმების დაკმაყოფილებაში შედის. მისი თქმით, აშშ-ის ადმინისტრაცია სერიოზულ ძალისხმევას ახორციელებს, რომ ნატოს წევრებს შორის შედგეს კონსენსუსი, რათა ინტეგრაციის გზაზე შემდგომი ნაბიჯები გადაიდგას.

აშშ-ის ელჩობის კანდიდატმა განაცხადა, რომ პრეზიდენტ ობამასა და პრეზიდენტ სააკაშვილს შორის იანვარში თეთრ სახლში გამართულმა შეხვედრამ მნიშვნელოვანი იმპულსი შესძინა სამხედრო ურთიერთობას და აღნიშნა, რომ ვაშინგტონი ერთ-ერთი სახეობის ავტომატური შაშხანების საქართველოსთვის მიყიდვას დათანხმდა.

– უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში საქართველოსთან ძლიერი ორმხრივი თანამშრომლობის შენარჩუნება მნიშვნელოვან პრიორიტეტად დარჩება ჩემი დამტკიცების შემთხვევაშიც. ჩვენი გეგმები უსაფრთხოების სფეროში საქართველოს დახმარებისა და სამხედრო ჩართულობის კუთხით გულისხმობს თავდაცვის სფეროში საქართველოს რეფორმების მხარდაჭერას, ქართული შეიარაღებული ძალების წვრთნასა და აღჭურვას აისაფ-ის მისიაში მონაწილეობისთვის და საქართველოს ნატოსთან თავსებადობის ხელშეწყობას, – აღნიშნა ელჩობის კანდიდატმა.

ნორლანდის თქმით, იანვრის ბოლოს ვაშინგტონში გამართული შეხვედრის დროს პრეზიდენტი ობამა და პრეზიდენტი სააკაშვილი შეთანხმდნენ, გააფართოვონ ეს პროგრამები, განავითარონ საქართველოს სამხედრო მოდერნიზაციის რეფორმა და თავდაცვითი შესაძლებლობები.

სივილ ჯორჯიას ცნობით, ნორლანდმა განაცხადა, რომ საქართველოს პრეზიდენტთან იანვარში გამართული შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტმა ობამამ საქართველოს ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები ახალ ეტაპზე გადაიყვანა, როდესაც მან სავაჭრო ურთიერთობების გაძლიერების თაობაზე მაღალი დონის დიალოგის დაწყების შესახებ გააკეთა განცხადება, რაც, თავის მხრივ, ასევე მოიცავს შესაძლო შეთანხმებას თავისუფალ ვაჭრობაზე.


ახალი თაობა

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ალეკო შალამბერიძე: ამერიკასთან დაპირისპირება სააკაშვილს ძვირი დაუჯდება!

თეა მარხვაიძე

**შეაქცევს თუ არა ზურგს სააკაშვილი ამერიკას, რატომ განეწყო კრიტიკულად ვაშინგტონი, რა ილუზიებს არ უნდა მიეცეს ოპოზიცია, ამ თემებზე „ახალ თაობას“ თავისუფალი საქართველოს ერთ–ერთი ლიდერი ალეკო შალამბერიძე ესაუბრება.**

**ალეკო შალამბერიძე:**

– ამერიკის მიმართ ხელისუფლების წარმომადგენლები უცნაურად იქცევიან. სააკაშვილი დიდი შებერტყილი და თაღლითი ვინმეა. ცნობილია, რომ რამდენიმე თვეში ჯონ ბასი მიდის საქართველოდან. ამიტომაც გამოუშვეს მის წინააღმდეგ თავიანთი დაძინებული დამრტყმელი ძალა.

***– ბობოხიძეს გულისხმობთ?***

– აკაკი, კაკო, კაკი ბობოხიძეზე მოგახსენებთ, რომელსაც ეს ამბავი საერთოდ არ ეკითხება.

***– რატომ არ ეკითხება?***

– იმიტომ, რომ მაგის სფერო სოფლის მეურნეობაა. რამდენიმე თვის წინ სიმინდის ტაროებით დარბოდა და ჰიბრიდული სიმინდის მთავარ ექსპერტად გამოგვეცხადა. ახლა უცბად ბასს დაარტყა. ამით ბასს არაფერი დააკლდება, ისევე, როგორც არაფერი დააკლდა პეტრე მამრაძეს, რომელსაც ბობოხიძემ შარშან სექტემბერში მუშტი გლიჯა. ბობოხიძის განცხადება სერიოზულად არ უნდა აღვიქვათ. სამაგიეროდ, ძალიან სერიოზული განცხადებები გაკეთდა თავად ამერიკაში. მხედველობაში სენატის საკომიტეტო მოსმენაზე გაკეთებული განცხადებები მაქვს. იქ მეტად მნიშვნელოვანი რამ ითქვა. მათ ძალიან კარგად იციან, რა ხდება საქართველოში. ყველაზე მთავარი ის არის, რომ ამ განცხადებას აშშ-ის საგარეო უწყების ჩინოსანი აკეთებს. ნორლანდი ამბობს, რომ ჩვენი ფუნქცია საქართველოში მონიტორინგის გაგრძელება იქნება. გასათვალისწინებელია, რომ ნორლანდი შემოდგომაზე საქართველოში ამერიკის ელჩის პოსტს დაიკავებს. სწორედ ის აპირებს შეისწავლოს, როგორ იცავს საქართველო იმ პრინციპებს, რომლებიც ამერიკისთვის ძვირფასია. ამერიკა ასეულობით მილიონ დოლარს ხარჯავს საქართველოში სამოქალაქო სექტორისა და დემოკრატიის ხელშეწყობისთვის. ნორლანდი ამბობს, ჩვენ ამ ფონდების ყურადღებიანი გამგებლები უნდა ვიყოთ, რათა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენთვის სასურველ შედეგს მივიღებთო. ეს ძალიან სერიოზული განცხადებაა.

***– რატომ არის სერიოზული განცხადება? ოპოზიცია თავს ხომ არ იტყუებთ?***

– სერიოზული განცხადებაა, მაგრამ ასეთმა განცხადებებმა არ უნდა მოგვატყუოს. ამერიკა ჩვენს გასაკეთებელს არ გააკეთებს.

***– საქმეც ისაა, რომ არ გააკეთებს. ოპოზიციას კი საქმის გაკეთება ეზარება.***

– ცოტა ხნის წინ „თავისუფალი საქართველოს“ ინიციატივით გაიმართა შეხვედრა. ამ შეხვედრაში 11-მა ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა. ჩვენ მოვაწერეთ ხელი, რომ არ მოგვწონს საარჩევნო კოდექსი. ამას გავუგზავნით საერთაშორისო ორგანიზაციებს. ძალიან გვინდა, ამ პროცესში ჩაერთოს „ქართული ოცნება“.

***– აპირებს ჩართვას „ქართული ოცნება“ ამ პროცესში?***

– არ ვიცი. ჩვენ გვინდა, რომ ჩაერთოს.

***– მათ გარეშე არ შეიძლება, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართოთ?***

– როგორ არ შეიძლება. უბრალოდ, საქმისთვის უკეთესია, ამ პროცესში რაც შეიძლება მეტი ხალხი იყოს ჩართული. ამიტომ, ურიგო არ იქნება, თუ ისინი შემოუერთდებიან ამ კამპანიას, მით უმეტეს, რომ ისინი არჩევნების გზით ცდილობენ ხელისუფლების შეცვლას. საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების გარეშე საქართველოში არჩევნების მოგება შეუძლებელია.

***– „ქართულ ოცნებაში“ მიაჩნიათ, რომ არჩევნების მოგება მათ ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლიათ.***

– მათ ბევრი რამ შეუძლიათ. თუმცა, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი ილუზიებში არიან. ამ ილუზიებიდან უნდა გამოვიდნენ და საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად გადადგან ნაბიჯები. ამაზე ზრუნვა ნებისმიერი ოპოზიციონერის ვალია. ამისთვის ჩვენ ყველა ბერკეტი უნდა გამოვიყენოთ. ვიცი, ქართველებს ჭკუის დარიგება არ უყვართ და არც სხვების რჩევებს ითვალისწინებენ. არადა, ურიგო არ იქნებოდა, „ოცნებას“ ჩვენი რჩევა გაეთვალისწინებინა. ახლა ძალიან მძიმე ვითარებაა და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაა მთავარი. ვერავინ დამაჯერებს, რომ დღეს მოქმედი საარჩევნო კოდექსი „ქართულ ოცნებაში“ მოსწონდეთ. ეს კოდექსი, ისევე, როგორც მოქალაქეთა გაერთიანებების შესახებ კანონი, ყველას გვაერთიანებს. ახლა უკვე ბასის განცხადებაც გვაერთიანებს. მისი მხრიდან პოზიციის დაფიქსირება ჩვენ ხელს შეგვიწყობს, მაგრამ მთავარი საქმე ჩვენ უნდა გავაკეთოთ. არავის არ უნდა ჰქონდეს იმის ილუზია, რომ სააკაშვილი დათმობაზე წავა. ის არც ხელისუფლების დათმობას აპირებს. ძალაუფლების შესანარჩუნებლად ის ყველაფერზე წავა.

***– ყველაფერზე წავაო, ამბობთ. ამ ყველაფერში ამერიკის წინააღმდეგ წასვლაც იგულისხმება?***

– თუ დასჭირდა, აუცილებლად წავა ამერიკის წინააღმდეგ. მან კარგად იცის, რომ საქართველო სუვერენული ქვეყანაა, კარგად იცის ისიც, რომ საქართველოს სუვერენიტეტი ხელშეუვალია. სააკაშვილი დიდი თაღლითი ვინმე გახლავთ, მაგრამ, ამავე დროს, ის იურისტიც არის. ჩვენს პოლიტიკაში სამართლის ნაკლებობა და ძალის მეტობაა. ყველამ ვიცით, რომ სააკაშვილი თავის პარტნიორ ამერიკასაც ფეხებზე დაიკიდებს. ამიტომ უნდა ვიმოქმედოთ ერთად და ეს მოქმედება რაც შეიძლება მალე უნდა დავიწყოთ.

***– რას გულისხმობთ ერთად მოქმედებაში?***

– საარჩევნო ბლოკების შექმნა ნამდვილად არა მაქვს მხედველობაში. ისე, არ იქნებოდა ურიგო, ოპოზიცია გაერთიანებულიყო და ერთიანი ფრონტით გამოსულიყო. ქართული ხასიათიდან გამომდინარე, ეს გამორიცხულია. ამიტომ ხელი მაინც მოვაწეროთ იმას, რომ საარჩევნო გარემო არ მოგვწონს.

***– ვთქვათ, ყველა პარტიამ მოაწერა ამაზე ხელი. რა შედეგს გამოიღებს ეს?***

– ეს სააკაშვილის დასამარცხებლად ბასრი იარაღი იქნება.

***– ზემოთ „ქართულ ოცნებაზე“ ვსაუბრობდით. ეს პოლიტიკური ძალა სულ კონსტრუქციულად იქცეოდა. დაახლოებით ერთი კვირის წინ ირაკლი ალასანიამ ძალიან მწვავე განცხადება გააკეთა. რაში დასჭირდათ ახლა ვითარების გამწვავება?***

– ალასანიამ ბანდფორმირებების შექმნის შესახებ გააკეთა განცხადება. ასეთი რამ მართლაც ხდება და მან ამის შესახებ ელჩებს აუწყა. ამით ცდილობენ, მოსალოდნელი გართულებები აიცილონ თავიდან.

***– გასულ წელს ასეთი ფორმირებების შექმნაზე აქტიურად საუბრობდა სახალხო კრება. მაშინ ალასანიას ამაზე რატომღაც რეაქცია არ ჰქონია.***

– რატომ დუმდა ალასანია მაშინ, მე ვერ გეტყვით. ახლა საჭიროდ ჩათვალა და იმიტომ თქვა. შესაძლოა, შარშან დამადასტურებელი დოკუმენტები არ ჰქონდა. ამ განცხადების გაკეთებაში პრობლემას ვერ ვხედავ. ეს კარგიც არის. მაგრამ ამით ხელისუფლებას ვერ შეაჩერებს. ხელისუფლება არჩევნებზე უნდა შევაჩეროთ. ამისთვის კი სათანადო გარემო უნდა შევქმნათ.

***– საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე ბევრს საუბრობთ. ამ მიზნით იყო შექმნილი ე.წ. ოპოზიციური რვიანი, რომელიც ხელისუფლებასთან დიალოგს აწარმოებდა. შედეგი ის იყო, რომ რვიანი დაიშალა, საარჩევნო გარემო კი კიდევ უფრო გაუარესდა.***

– რვიანის დიდი შეცდომა ის იყო, რომ მან აქციებზე თქვა უარი. ამბობდნენ, არ გვინდა აქციები და გამწვავება. ვაწარმოოთ მოლაპარაკებები და ისინი დაგვეხმარებიანო.

***– ვინ ისინი?***

– იგულისხმებოდა ამერიკა. როგორ დამთავრდა ყველაფერი, კარგად ვნახეთ. რვიანი დაიშალა და ყველა თავისი გზით წავიდა. ამერიკის იმედი არ უნდა გვქონდეს. პასუხისმგებლობა ჩვენს თავზე უნდა ავიღოთ. ვაშინგტონი აშკარად საჩვენო განცხადებებს აკეთებს. მაგრამ, ვიმეორებ, ეს განცხადებები არ გვიშველის. ჩვენ უნდა გავანძრიოთ ხელი და, თუ საჭიროა – ფეხიც.

***– ზემოთ თქვენ თქვით, რომ სააკაშვილს თუ დასჭირდა, ამერიკასაც დაიკიდებს ფეხებზეო. ამერიკა არის ის ჩიტი, რომ სააკაშვილს ფეხებზე დაეკიდებინოს?***

– ამერიკამ კარგად იცის, რომ საქართველო სუვერენული ქვეყანაა და ასე ღიად არ ჩაერევა ჩვენს შიდა საქმეებში.

***– თავის დროზე შევარდნაძემაც ხომ სცადა ამერიკის გადაგდება, მაგრამ თავად აღმოჩნდა გადაგდებული.***

– შევარდნაძე დიდი პოლიტიკოსი იყო. მას ლავირების დიდი უნარი ჰქონდა. ის ღიად ამერიკას არ დაპირისპირებია. ეს კი ძალიან ხისტია და პირდაპირ შუბლით მიდის.

***– რატომ მიდის შუბლით? სხვა გზა არა აქვს?***

– სხვა გზა არა აქვს. მას ხელისუფლების შენარჩუნება უნდა. ისინი ეუბნებიან, არაო.

***– როგორ დამთავრდება ეს ყველაფერი?***

– მგონია. რომ ეს სააკაშვილს ძალიან ძვირად დაუჯდება. სამწუხაროდ, ეს საქართველოს მოსახლეობასაც ძვირად დაუჯდება. ამიტომ ვითხოვ, რომ სანამ დროა, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე ვიზრუნოთ. თუ ამას „ქართული ოცნებაც“ შემოუერთდება, სააკაშვილს ზურგში დიდ ლახვარს ჩავცემთ.

***–მოდით, თემა შევცვალოთ. როგორც ამბობენ, „თავისუფალი საქართველო“ მესამე ძალის შექმნას აპირებს. მართალია?***

– არაფერს არ ვაპირებთ. ამ ეტაპზე ჩვენი მთავარი საზრუნავი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაა. ამ სისტემით არჩევნები თუ ჩატარდა, ჩათვალეთ, რომ წაგებული აქვს ოპოზიციას. არჩევნებს როცა ეხება საქმე, ესენი დაუნდობლები არიან. მაჭავარიანი ხომ პირდაპირ სასწაულებს ჩადის.

***– მიხეილ მაჭავარიანზე საუბრობთ?***

– მიშა მაჭავარიანზე ვამბობ. ის არჩევნების ჩატარებაში დიდ გამოცდილებას ფლობს.

***–ამიტომ ხომ არ დანიშნეს ნაციონალური მოძრაობის გენერალურ მდივნად?***

– სწორედ ამიტომ დაინიშნა მაჭავარიანი ამ პოსტზე. შემოდგომაზე სააკაშვილს გენერალური ბრძოლა აქვს. ამიტომ დანიშნა გენმდივნად მაჭავარიანი. პრეზიდენტს ძალიან უჭირს ახლა. ამის მიუხედავად, ის სწორ სვლებს აკეთებს.

***–მაჭავარიანის გენმდივნად დანიშვნა სწორი სვლაა?***

– ასეთი სწორი გადაწყვეტილება სააკაშვილს კარგა ხანია არ მიუღია.

***– ამით რა გამოდის, რომ ახლა ყველაფერი მაჭავარიანზეა დამოკიდებული?***

– არჩევნებში მასზეა ბევრი რამე დამოკიდებული.

***– რა ამისთანა ტალანტი აქვს მაჭავარიანს?***

– აქვს და თანაც – საოცარი. არჩევნებში ის დიდ გამოცდილებას ფლობს. გამოცდილება კი ძალიან ბევრს ნიშნავს პოლიტიკაში.

***–რას უპირისპირებს ოპოზიცია ტალანტ მაჭავარიანს?***

– ბევრს არაფერს. ოპოზიცია დაქსაქსულია. ასე კი არაფერი გამოვა. არჩევნებამდე ზვიად გამსახურდიამ ყველა პარტია მოიარა. ყველა პარტიასთან პირადად მივიდა, მათ შორის იმათთანაც, ვისთანაც დაპირისპირებული იყო. ასე მოიქცა მიხეილ სააკაშვილი 2003 წელს.

***– ამით რისი თქმა გინდათ, რომ ივანიშვილმაც ჩამოიაროს პარტიები? ის ხომ თავისთან იბარებს ხალხს კასტინგზე.***

– როცა ამბობ, რომ არჩევნების მოგება გინდა, მაშინ ყველა ოპოზიციურ ძალას უნდა დაელაპარაკო. ერთიან ფრონტს თუ არ შექმნი, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის მაინც იბრძოლე. სააკაშვილთან დაპირისპირება ხუმრობა არავის ეგონოს. ის თაღლითი, გაიძვერა და საერთაშორისო დონის აფერისტია, თანაც მას უდიდესი ძალაუფლება აქვს.



**იყო დრო და მომენტი, როცა ამერიკის აუგად ხსენება ლამის სამშობლოს ღალატად ითვლებოდა. საქართველოში ამერიკის საელჩოს ცუდად მოხსენიებაც კრემლის აგენტობად ითვლებოდა. ოღონდ, ეს იმ დროს, როცა ვაშინგტონში სააკაშვილი დემოკრატიის შუქურად მიაჩნდათ. ახლა ეს შუქურა მათ თვალშიც ჩაქრა. მათი დესპანი ჯონ ბასი კი ჩვენი ხელისუფლების კრიტიკით დაკავდა. ამას მშვიდი გული როგორ მოითმენდა და მათ ამერიკა შემოეკრიტიკათ. ახლა ოპოზიცია აღშფოთდა. მათი მტკიცებით, ხელისუფლებამ შესაძლოა ამერიკას ზურგი აქციოს და ხელისუფლების შესანარჩუნებლად რუსეთს შეეკრას.**

# ივანიშვილი ოპოზიციას ერთმანეთთან აპირისპირებს

## რა პრეტენზიები აქვს ნანა კაკაბაძეს ქართულ ოცნებასთან

შორენა კოწოწაშვილი

**რა შეეშალა ბიძინა ივანიშვილს, რას ცდილობს სააკაშვილი და რისთვის სჭირდებოდა მას კრიმინალური დაჯგუფებები და რაზმები 'ვარდების რევოლუციის~ დროს? _ ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ნანა კაკაბაძესთან.**

***— ქალბატონო ნანა, თქვენი აზრით, რა მდგომარეობაშია დღეს პრეზიდენტი და რაზე შეიძლება წავიდეს ქვეყნის ლიდერობის შესანარჩუნებლად?***

— ხელისუფლება, როგორც ასეთი, ცალკე არსებულ ძალას არ წარმოადგენს. ეს ყველაფერი თავმოყრილია სააკაშვილის ძალაუფლებაში. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სააკაშვილი რას აკეთებს. სააკაშვილი კი აკეთებს იმას, რომ დგას რეალობის წინაშე — ის ველარ შეძლებს იყოს პრეზიდენტი. ეს არის რეალობა. იმიტომ, რომ დღეს კიდევ კონსტიტუციის გადაკეთება და ამ მიმართულებით კიდევ ერთი ვადის დამატება, გამორიცხულია. ეს ვერ მოხდება. ვერ მოხდება ვერც ის, რომ პირდაპირ პუტინის გზას დაადგეს სააკაშვილი და თქვას, რომ ვარ პრემიერი, რომელსაც აქვს პრემიერის ძალაუფლება ანუ ძლიერი პრემიერი და ყველანაირი ძალაუფლება მის ხელშია. ამასაც ვერ შეძლებს. ამ რეალობას რომ აცნობიერებს, მისი ქმედებები სწორედ აქედან გამომდინარეა. შექმნილია ისეთი სიტუაცია, რომლის დროსაც წარმოუდგენელია სააკაშვილმა შეძლოს იმ ერთპიროვნული მმართველობის შენარჩუნება, რომელიც დღეს აქვს. ამიტომ ის ეძებს ისეთ გამოსავალს, რომელიც ამ ძალაუფლების და გავლენის შენარჩუნებას უზრუნველყოფს.

***— ამით არის განპირობებული ის რეპრესიები, ტერორი და ფინანსური წნეხი, რასაც „ქართული ოცნება“ განიცდის?***

— რა თქმა უნდა. უფრო მეტიც, ივანიშვილის ფრთა პირდაპირ გარიგებაშიც რომ იყოს სააკაშვილთან სამომავლო არჩევნებში, სააკაშვილს იმდენად უნდა და უყვარს ერთპიროვნული მმართველობა, რომ მას არ შეუძლია თუნდაც გარიგების შემთხვევაში დათმოს მინიმალური ძალაუფლებაც კი სხვისთვის. ამიტომ მას ყველა ასეთ ძალაუფლების მოწილესთან ექნებოდა ის, რაც დღეს მას ბიძინა ივანიშვილთან აქვს.

***— ფაქტია, სააკაშვილი დღემდე ცდილობს საერთაშორისო თანამეგობრობას დაუმტკიცოს, რომ შეუცვლელი ლიდერია. ეს პიარი შედეგიანი იქნება სააკაშვილისთვის და იმოქმედებს არჩევნების შედეგებზე?***

— ეს ნამდვილად ასეა. ხელისუფლება ცდილობს მთელ მსოფლიოს აჩვენეს, რომ ერთადერთი ძალა, რომელიც დღეს აკონტროლებს ქვეყანას და რომელიც სტაბილურობას ინარჩუნებს, ეს არის დღევანდელი ხელისუფლება. ბუნებრივია, ამის დამტკიცებას ესენი ცდილობენ, მაგრამ ოპოზიცია ანუ „ქართული ოცნება“ ცდილობს აჩვენოს, რომ სააკაშვილის მმართველობა ეფუძნება არა დემოკრატიას და დემოკრატიულ ღირებულებებს, არამედ სწორედ დიქტატურას მახინჯი ფორმით. დიქტატურას აქვს წესრიგი, აქვს წარმატებული ეკონომიკა, რაც სააკაშვილის რეჟიმს აქვს. ის ცდილობს აჩვენოს, რომ ეს არის რეჟიმი და შორს არის დასავლური ღირებულებებისაგან; რომ ოპოზიციას სურს ქვეყნის მართვა და ქვეყნის წინსვლა მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიული მიმართულებით და არა იმ მეთოდებით, რა მეთოდებზეც დღეს სააკაშვილის ძალაუფლება არის დაფუძნებული. ანუ სააკაშვილი დღესდღეობით მართლაც არის ისეთი ძლიერი, რომ აჩვენოს, სტაბილურობის გარანტი მხოლოდ თვითონ და მისი გუნდია. მაგრამ ოპოზიცია ცდილობს აჩვენოს, რომ ეს სტაბილურობა ეფუძნება არა დემოკრატიას, არამედ ძალიან მანკიერ და მახინჯ ფორმებს მმართველობისას, რომელიც მიუღებელი უნდა იყოს დემოკრატიული სამყაროსათვის.

***— როგორც ბოლო სოციალური კვლევები აჩვენებს, მოსახლეობის 49% მიიჩნევს, რომ საქართველოში დემოკრატიაა და ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდება. იზიარებთ ამ კვლევის შედეგებს, რეალობასთან ახლოსაა?***

— ხელისუფლება ამაზე უკმაყოფილებას ვერ დააფიქსირებს, რადგანაც, ბუნებრივია, ეს რიცხვი გაზრდილია ხელისუფლების სასარგებლოდ. აქედან გამომდინარეა შედეგებიც. ენდიაის მონაცემებში ნათლად არის ასახული, რომ მას პროსახელისუფლო განწყობა აქვს, როცა ის 49%-ს უწერს. რა მიმართულებით შეიძლება ჰქონდეს 49% ნდობა — თავისუფალი მედიის, თავისუფალი სასამართლოს, პატიმრების მიმართულებით, სამართლიანობის თუ არ ვიცი, რა მიმართულებით შეიძლება ჰქონდეს ხელისუფლებას დღეს 49%-იანი ნდობა. ცალსახაა, რომ არც ერთი მიმართულებით ხელისუფლებას არ აქვს 20%-იანი ნდობაც კი. ენდიაის კვლევები სერიოზულ ეჭვს უფრო იწვევს, ვიდრე ნდობას. ეს არის პროსახელისუფლებო პროცენტი და არა რეალური. კვლევების თანახმად გამოდის, რომ 70% ფიქრობს, რომ ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობა უკანონოდ ჩამოერთვა. ჩემი აზრით, უფრო მეტი ადამიანი ფიქრობს ასე. ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხთან დაკავშირებით, ვფიქრობ, მიხეილ სააკაშვილი დინების საწინააღმდეგოდ მიდის. ივანიშვილს უნდა დაუბრუნდეს საქართველოს მოქალაქეობა.

***— დამაჯერებელია ირაკლი ალასანიას მიერ გაკეთებული განცხადება, რომ ხელისუფლება სამეგრელოში ახალაიების ხელმძღვანელობით შეიარაღებულ რაზმებს ქმნის და რომ ეს რაზმები სააკაშვილს შიდა პოლიტიკური პროცესებისთვის სჭირდება?***

— სხვათა შორის, ასეთი სახის რაზმები ამ ხელისუფლებას ახლა კი არ შეუქმნია, როდესაც ხელისუფლებაში მოდიოდა, მაშინაც იყო ასეთი რაზმები. როდესაც პარლამენტში შეჭრა მოხდა, მე ვიცი კონკრეტული ადამიანებისაგან, რომლებიც თვითონ იყვნენ ამ ყველაფრის მონაწილეები, რომ სააკაშვილს მაშინაც ჰყავდა ასეთი რაზმები. რა თქმა უნდა, ასეთი ორგანიზებული არა, როგორ დღეს არის საუბარი. მაშინაც ქუჩის კრიმინალები, ქუჩის ავტორიტეტები, ე.წ. შავი სამყაროს წარმომადგენლები და ა.შ. სწორედ ესენი იყვნენ იმ წინა ხაზზე, რომლებიც პარლამენტში შეიჭრნენ და რომლებიც საზოგადოებას სტიმულს აძლევდნენ იმისათვის, რომ ფეხი დაებიჯებინათ კონსტიტუციისთვის და ასე უკანონო გზით ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება. მაშინაც სააკაშვილის ბრძოლის იარაღი იყო სწორედ ეს ბანდები და უკანონო დაჯგუფებები. თუმცა ეს არ პიარდებოდა. იმიტომ, რომ მაშინ ყველაზე პოპულარული ტელევიზია „რუსთავი 2“ მთლიანად კონტროლდებოდა სააკაშვილისა და მისი გუნდის მიერ. ამიტომ ასეთი სახის პრობლემები მაშინ არ შუქდებოდა და საზოგადოებისთვის არ იყო ეს ნათელი. სახელისუფლებო არხები კი იყო სუსტი იმასთან დაკავშირებით, რომ ასეთი ფაქტები დაეპიარებინათ. ისინი ფაქტობრივად გამოსული იყვნენ სახელისუფლებო კონტროლიდან და ცდილობდნენ მოქცეულიყვნენ ისე, როგორც „რუსთავი 2“ იქცეოდა, რომ მთლიანად არ გარიყულიყვნენ ბაზრიდან. ანუ მაშინაც იყო ასეთი უკანონო რაზმები და ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან სააკაშვილის ძალაუფლება სწორედ ასეთი უკანონო დაჯგუფებების არსებობით და კლანური გარჩევებით გამოირჩეოდა. იმის გამო, რომ დღეს მედია არ არის დამოუკიდებელი და არ არსებობს მართლაც რეალურად მიუკერძოებელი მედია, ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ ასეთი ფაქტები და ხელისუფლებისთვის არასასურველი ინფორმაციები სააშკარაოზე გამოსულიყო. მაგრამ დღეს, როდე-



საც უკვე მოახლოებულია არჩევნები და მეტ-ნაკლებად პოლიტიკაში შემოვიდა ისეთი სერიოზული ძალა, როგორიც არის ივანიშვილი, რომელსაც გაცილებით უფრო მეტი შესაძლებლობები აქვს, ვიდრე ივანიშვილამდე არსებულ ოპოზიციას, ბუნებრივია, რაღაცა საინფორმაციო არხები გაიხსნა. რაღაც-რაღაცები თანდათან ნათელი ხდება და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი. ამიტომ გახდა დღეს საზოგადოებისთვის ცნობილი ასეთი უკანონო დაჯგუფებების არსებობა. ვიმეორებ, ასეთი ინფორმაცია ადრეც არსებობდა, მაგრამ ოპოზიციას ამის რესურსი არ ჰქონდა, რომ ეს ფაქტი გამოეკვლია, დაესაბუთებინა და მერე საზოგადოების წინაშე საჯაროდ გამოეტანა.

***— როგორ აფასებთ, როგორც უფლებადამცველი იმ პროცესს, რომელსაც კონტროლის პალატა ახორციელებს იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მხარს „ქართულ ოცნებას“ უჭერენ?***

— ის, რასაც დღეს კონტროლის პალატა ახორციელებს, ეს არის პირდაპირი ძალადობა საზოგადოებაზე, პირდაპირი ძალადობა ხალხზე, დაუფარავი და შეუნიღბავი ძალადობა. თითქოს ეს ძალადობა კანონის ჩარჩოში მოაქციეს, მაგრამ ამ კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებშიც კი კონტროლის პალატა უკანონოდ იქცევა. ისინი ხშირ შემთხვევაში ისეთ ადამიანებს იბარებენ, რომლებსაც არანაირი გადარიცხვები, არანაირი თანხები არ აქვთ მიღებული ბიძინა ივანიშვილის ფონდიდან და მისი ბიუჯეტიდან, მაგრამ დაშინების ნებით ხელისუფლება ამ ხალხს კონტროლის პალატის მეშვეობით ატერორებს. ამით ხელისუფლება საზოგადოებაში შიშს ნერგავს. ეს არის პირდაპირი ძალადობა. საზოგადოებას დღეს არ აქვს ძალა და მათ შორის ოპოზიციასაც, რომ ეს ალაგმოს. ამას ჩვენ ვხედავთ.

***— დაიწყო თუ არა ხელისუფლებამ იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ გარკვეული წნეხის გატარება, რომლებიც სახელისუფლო არასამთავრობოებს არ წარმოადგენენ?***

— რა თქმა უნდა, ამ კუთხით მუშაობენ. ამ კუთხით ახლა კი არა, ნაციონალები ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან მუშაობენ. ხდება ფონდების გაკონტროლება, ფინანსების გაკონტროლება, გრანტების მიცემა ისეთი არასამთავრობოებისთვის, რომლებიც ხელისუფლებისთვის სანდოა. საელჩოების დონეზე ინფორმაციების გაშვება, რომ ამ ორგანიზაციებს არ მისცეთ თანხები და ეს ორგანიზაციები დაბლოკეთ. პირდაპირ არის მიცემული სიები, ვინ არ უნდა დაფინანსდეს და ა.შ. ხელშეწყობა ხდება ისეთი ორგანიზაციების, რომლებიც პროსახელისუფლოა ღიად თუ შეფარულად. ამ პროცესს ბრწყინვალედ აკონტროლებს სწორედ სააკაშვილის ფრთა — თავისუფლების ინსტიტუტი. ისინი ამ საქმეში გაწაფულები არიან ჯერ კიდევ შევარდნაძის დროიდან.

***— ანუ ივანიშვილი ვერ შეძლებს არასამთავრობო სექტორის დაფინანსებას და სამოქალაქო სექტორის ხელისუფლების წინააღმდეგ გააქტიურებას?***

— ერთი მხრივ, ივანიშვილს შეეზღუდება ამ კუთხით ფინანსების ხარჯვა, მეორე მხრივ, მან არც იცის ამ ბერკეტის ხეირიანად გამოყენების მნიშვნელობა თუ ძალა. მას ეს არც აქვს, ასე ვთქვათ, გაცნობიერებული და არც იცის, როგორ და რანაირად უნდა გამოიყენოს ეს იარაღი, განსხვავებით მიხეილ სააკაშვილისგან. ივანიშვილს ამ მიმართულებით აკლია გამოცდილება.

***— დაბოლოს, პოლიტიკურ გამოუცდელობას მიაწერთ იმას, რა პოზიციაც ივანიშვილმა ბურჯანაძესთან და „სახალხო კრების“ სხვა ლიდერებთან დააფიქსირა?***

— ჩემთვის ძალიან გაუგებარი იყო ის, რაც მე ვნახე და მოვისმინე „სახალხო კრებასთან“ შეხვედრის დროს. ძალიან რბილად რომ შევაფასოთ, ეს იყო არასწორი. რა განსხვავებაა, სააკაშვილი ეტყვის ივანიშვილს წადი პოლიტიკიდანო თუ ივანიშვილი ეტყვის ბურჯანაძეს, წადი პოლიტიკიდანო? ასეთი დაკვეთების მიცემა და ასეთი ბრძანებების შესრულება არასწორია და ეს არ უნდა გაჟღერებულიყო. თუმცა, ვფიქრობ, აქ ლომის წილი არის არა ივანიშვილის, არამედ იმ გარემოცვის, რომელიც მან აირჩია კოალიციის სახით. ამ არჩევანში იყო შეცდომა და არა დღეს შექმნილ სიტუაციაში. ივანიშვილს უნდა გაეკეთებინა არჩევანი — მთელი ოპოზიცია ჩემთან. ჩვენ ერთიანი ძალა ვართ და ყველანი უნდა ვიყოთ ერთად. ანუ მას სააკაშვილი მარტო უნდა დაეტოვებინა. ბრძოლა და დაპირისპირება უნდა მომხდარიყო მთელ საზოგადოებასა და ხელისუფლებს შორის და არა ვთქვათ, თუნდაც დასუსტებულ, შესუსტებულ ოპოზიციასა და ივანიშვილის ოპოზიციას შორის. კი, ივანიშვილის დაპირისპირება ხელისუფლების წინააღმდეგ ჩანს, მაგრამ ჩანს ისიც, რომ ის ასევე უპირისპირდება სხვა ოპოზიციურ ძალებსაც. არ აქვს მნიშვნელობა, როგორია ეს ძალა — სუსტია თუ ძლიერია. ეს არასწორია. ეს საზოგადოებაში არ იწვევს დადებით ემოციებს. ვიღაცის გემოვნებაში რესპუბლიკელები კიდევ უფრო მიუღებელნი არიან, ვიდრე ნინო ბურჯანაძე. ვერ ვიტყვი, რომ ბურჯანაძის რეიტინგი უფრო დაბალია, ვიდრე რესპუბლიკური პარტიის. იმიტომ, რომ ქართველი ხალხის განწყობა ამ მიმართულებით ყველამ კარგად ვიცით. ცალსახაა, რომ დღეს როცა ასეთ არჩევანს აკეთებ; როცა იცი, რომ ამ ჯგუფს არ აქვს არანაირი მხარდაჭერა ერში, მაგრამ ამ დროს შენ უარს ეუბნები ისეთ პოლიტიკურ ძალს, როგორსაც ბურჯანაძე წარმოადგენს, ესეც გაუგებარია ხალხისთვის. ამიტომ თუკი ასეთ ჯგუფებს, ასეთ პარტიებს გვერდზე იყენებ, რომელსაც რეიტინგი არ აქვთ, მაგრამ გარკვეული მოსაზრებებით — რომ მათ აქვთ კავშირები, ანუ რაღაცის გამო გვერდით იყენებ, მაშინ გაუგებარია, რატომ ეუბნები უარს ბურჯანაძეს. მას რომ საერთოდ არავინ არ წაეყვანა ოპოზიციური ძალებიდან, მარტო თვითონ დამდგარიყო სულ უცნობი სახეებით და ეთქვა, ეს არის ჩემი პოლიტიკური ძალა და ყველა დანარჩენის წინააღმდეგ მივდივარ, ესეც ახსნადი შეიძლება ყოფილიყო. მაგრამ, როდესაც ვიღაცეებს იყენებ გვერდით, სამ-ოთხ პარტიას ეძახი, გვერდით იყენებ და დანარჩენებს განზე ტოვებ, ამას ვერანაირად ვერ ახსნი. თუ შენ ებრძვი და უპირისპირდები ხელისუფლებას, მაშინ ყველა ის ძალა უნდა იქნეს გამოყენებული, რომელიც ხელისუფლების წინააღმდეგ რეალურად იბრძვის. ყველასთან უნდა გაერთიანდეს და ყველასთან ერთად უნდა იბრძოლოს. მთავარი სამიზნე უნდა იყოს სააკაშვილი და მისი რეჟიმი; სააკაშვილი და ის სისტემა, რომელიც ამ რეჟიმმა შექმნა. სამიზნე უნდა იყოს ერთი და ყველა ორგანიზაცია უნდა იქნეს გამოყენებული ამ რეჟიმის წინააღმდეგ. არ უნდა იყოს შიდა განხეთქილებები და ოპოზიციის ერთმანეთში დაპირისპირება. ამის ფუფუნება დღეს არ არის.

**ყოფილი პოლიტპატიმარი და ადამიანის უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე ფიქრობს, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ქვეყნის მართვის სადავეებს „თავისუფლების ინსტიტუტი“ ჩამოშორდეს და არამხოლოდ მიხეილ სააკაშვილი.**

### ნუგზარ ბოჭორიშვილზე თავდასხმის საქმეს საბერძნეთის პოლიცია იძიებს

„საერთაშორისო ნარკოკარტელის“ საქმეში 5 მსჯავრდებულიდან ერთ-ერთზე, ძებნილ ნუგზარ ბოჭორიშვილზე ათენში მომხდარი შეიარაღებული თავდასხმის ფაქტს საბერძნეთის პოლიცია იძიებს. ამის შესახებ ბოჭორიშვილის ადვოკატმა მანანა კობახიძემ 23 მარტს პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ადვოკატის თქმით, თავდასხმის დროს ბოჭორიშვილმა უმნიშვნელო დაზიანებები მიიღო.

საბერძნეთის მოქალაქე ნუგზარ ბოჭორიშვილზე შეიარაღებული თავდასხმა 21 მარტს, ათენში მოხდა. ის საკუთარი ავტომანქანით მოძრაობდა, როდესაც უცნობმა პირებმა მანქანას ცეცხლი გაუხსნეს.

კობახიძის განცხადებით, ბოლო ორი თვის განმავლობაში ბოჭორიშვილს ტელეფონით ეროვნებით ქართველი მისთვის უცხო პირები უკავშირდებოდნენ. საუბარში კი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მაღალჩინოსნებს, მათ შორის, დათა ახალაიას ახსენებდნენ.

„როგორც ჩანს პირდაპირი ანგარიშსწორება მიდის ამ პიროვნების მიმართ, რადგან მას ძალიან დიდი თანხის გადახდას სთხოვდნენ. ორი თვის განმავლობაში მის ტელეფონზე განხორციელებულ ზარებში, უცნობი პირები მის მიმართ გამოძიების შეწყვეტის სანაცვლოდ სთხოვდნენ კუდ-ის მაღალჩინოსნის, ვინმე ოთარ ლომინაძის მეშვეობით, გადაეხადა დაახლოებით 3 მილიონი ლარი გადარიცხვით ან 1,5 მილიონი „ქეშად“– განაცხადა კობახიძემ.

ადვოკატის თქმით, თავად ბოჭორიშვილი თავდასხმას მის წინაღმდეგ 2010 წელს საქართველოში აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს უკავშირებს, რომელიც კოლუმბიიდან საქართველოში 220 კგ. კოკაინის ტრანზიტით შემოტანას და შემდეგ, ევროპის ქვეყნებში გადაზიდვას ეხებოდა.

ნიუსპრესი

ნათია ხურცილავა

# ეკა ბესელია: ივანიშვილი ქუჩის აქციებზე უარს არ იტყვის

**ინტერვიუ ეკა ბესელიასთან:**

***– ქალბატონო ეკა, „ქართულ ოცნებაში“ ამ ეტაპზე რას საქმიანობთ? ბოლო დროს აქტიურად რატომ არ ჩანხართ?***

– ვიგრძენი, რომ ბოლო პერიოდში კითხვები დაგროვდა და შეძლებისდაგვარად ვუპასუხე იმ შეზღუდული სივრცის ფარგლებში, რომელიც, სამწუხაროდ, მაქვს. ერთადერთი ტელეკომპანია, რომლიც ღია ეთერში მიწვევს, ეს ტელეკომპანია „მაესტროა“. ამიტომ ჩემს ნაკლებ აქტიურობას ვერ დავაბრალებ, რომ ნაკლებად ვჩანვარ. ერთ–ერთი პირველი ვიყავი, რომელიც ბატონი ბიძინას თხოვნით ამ პროცესში ჩავერთე. ეს იყო 10 ოქტომბერი, მესამე დღე ბატონი ბიძინას პირველი განცხადებიდან. სწორედ იმ დღეებში ხდებოდა პოლიტიკურად ცხელი და მძიმე გადაწყვეტილებების მიღება ხელისუფლების მხრიდან. ვგულისხმობ მოქალაქეობის ჩამორთმევას, თავდასხმას „ქართუ ბანკის“ კუთვნილ ავტომანქანაზე და დაკავებას. ბუნებრივია, ამ ყველაფერზე მიწევდა განცხადების გაკეთება, რადგან სულ რამდენიმე ადამიანი ვიყავით. მოგვიანებით, როდესაც ეს პოლიტიკური გუნდი მრავალფეროვანი გახდა, მათ შორის პარტნიორი ორგანიზაციები, პოლიტიკური ძალები შემოვიდნენ, არა მხოლოდ პოლიტიკური ძალები, არამედ ცალკეული პოლიტიკოსები, არაპოლიტიკოსები; ბუნებრივია, ფუნქციის გადანაწილებამ, სტრუქტურის ჩამოყალიბებამ მიმართულებები დაალაგა და ყველას გარკვეული სეგმენტი გვაქვს, სადაც უკეთესი იყო ჩვენი გადანაწილება. ამჟამად რას ვაკეთებ? ბოლო პერიოდი რამდენიმე საკითხით ვარ დაკავებული. რამდენიმე სამართლებრივი და პოლიტიკური საკითხით. ბიძინა ივანიშვილისა და ეკატერინე ხვედელიძის მოქალაქეობასთან დაკავშირებით პირველი სარჩელი, რომელიც სასამართლოში შევიდა, სწორედ ჩემ მიერ არის შეტანილი. ამ სარჩელის ერთი ნაწილი დაკმაყოფილდა ეკატერინე ხვედელიძის ნაწილში, ხოლო მეორე ნაწილზე სასამართლო დავა გრძელდება, რომელიც ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის აღდგენის საკითხს ეხება. გარდა ამისა, არის კიდევ რამდენიმე საქმე, თამაზ თამაზაშვილის, მდინარაძის საქმე, რომელზეც ჩვენი ჯგუფი მუშაობს. პირადად მე მაბარია პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ცენტრალური ოფისის სამართლებრივი და პოლიტიკური გადაწყვეტის საკითხი. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც ვმუშაობ. ამ საქმეზე 9 სარჩელია სასამართლოში შეტანილი. მხოლოდ ორი საჩივრის განხილვა არის დაწყებული. დანარჩენ 7-ის სარჩელზე ველოდებით სასამართლო პროცესის დაწყებას. ერთი ახალი ინფორმაცია არის ის, რომ 2 სარჩელზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებმა დაარღვიეს განხილვის ვადა. საუბარია მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილზე, რომელსაც ერთ-ერთი სარჩელის განხილვის ვადა 17 მარტამდე ჰქონდა. მეორე მოსამართლე არის გიორგი ტყავაძე, რომელსაც გაერთიანებული სარჩელი აქვს განსახილველი. მან განხილვის ვადა 4 მარტს დაარღვია. ორივე მოსამართლის მიმართ ვგეგმავთ, რომ საჩივარი შევიტანოთ, რათა დისციპლინური დევნა დაიწყოს მათ მიმართ, რადგან შეგნებულად აჭიანურებენ ამ დავების განხილვას. საქმე ეხება სწორედ იმ შენობას, სადაც პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება“ უნდა განთავსდეს. სწორედ იმ ოფისიდან უნდა მოხდეს საქმიანობის წარმართვა. როგორც ჩანს, ეს შენობა არის ერთ–ერთი გამაღიზიანებელი ფაქტორი ხელისუფლებისთვის.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ არც ერთ სხვა საქმეზე, მოქალაქეობის გარდა, ასეთი შეტევა არ განუხორციელებიათ, როგორც ამ შენობის შემთხვევაში. როგორც ჩანს, ეს არის პრინციპული საკითხი. ამიტომ არის ხელისუფლების რეაქცია გამწვავებული. საუბარია არა მხოლოდ იმაზე, რომ შენობის ექსპლუატაციაში მიღება არ ხდება, არამედ იმაზე, რომ ამას მოყვა ჩვენი 4 ათასი ლარით დაჯარიმება, რომელიც ასევე გავასაჩივრეთ და განხილვას ველოდებით. ასევე ცალკე საჩივარი არის პოლიციის წინააღმდეგ. სასამართლოში პოლიციის წინააღმდეგ სარჩელია შეტანილი.

***– ეს სარჩელი განიხილა სასამართლომ?***

– საინტერესოა, რომ სასამართლო ამ სარჩელს არ იხილავს.

***– რა მოთხოვნაა?***

– პოლიციის თანამშრომლებს დაევალოთ, რომ შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობა. კერძოდ ის, რომ სათავო ოფისში ოქტომბრიდან დღემდე ცხოვრობენ სრულიად უცხო, ყოველგვარი სტატუსის გარეშე შეჭრილი ადამიანები, რომლებიც თავს ასაღებენ „ლაით გრუპის“ წარმომადგენლებად. ცენტრალური ოფისის შენობაში ორი ადამიანი უკანონოდ ცხოვრობს. ეს ადამიანები იქ არაფერს არ აკეთებენ, მეთვალყურის სტატუსი აქვთ. ამაზე არ რეაგირებს არც პოლიცია, არც შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელსაც სპეციალური განცხადება გაეგზავნა, არც მთავარი პროკურორი და არც სასამართლო. ასევე მთელი შენობა ხის კონსტრუქციის ალყაშია მოქცეული. კიდევ ერთი უხერხული საკითხია ნაგვის გროვა, რომელიც შენობის წინ დაახვავეს და არაფრით არ გააქვს მერიის სამსახურს. შეთავაზებაც იყო, რომ მესაკუთრე უზრუნველყოფდა იმ ტერიტორიის დასუფთავებას, რადგან ხელისშემშლისა და საფრთხის შემცველიც არის მოქალაქეებისთვის, რომლებიც იმ ტერიტორიაზე დადიან. ამაზეც უარი თქვა მერიის სამსახურმა. არაფერში არ ჯდება ეს საქციელი, არც კანონში და არც მორალში, არც ქცევაში, როგორც ისინი იქცევიან ამ კონკრეტულ შემთხვეაში. კონტროლის პალატა, რომელიც უმოკლეს დროში, საათების განმავლობაში დაჯარიმების შესახებ იღებს გადაწყვეტილებებს, ამ ფონზე სრულიად გაუგებარია უფრო მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც არის მოქალაქეობის საკითხის გადაწყვეტა, პოლიციისთვის დავალების მიცემა, რომ იმოქმედოს ამაზე, სასამართლო თვეების განმავლობაში არ რეაგირებს. ეს კარგად მეტყველებს, დღეს ხელისუფლებას „ქართული ოცნების“ მიმართ დამოკიდებულების რა ხარისხი აქვს.

***– 5 აპრილს იწურება ვადა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით. რა მოლოდინები გაქვთ?***

– ჩვენ გაგვიჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ხელისუფლების მხრიდან ნიადაგი მზადდება, რომ მათ მოქალაქეობის მინიჭებაზე უარი უთხრან ივანიშვილს. კონსტიტუციით პირადად პრეზიდენტის კონპეტენციაა, რომ უარი უთხრას ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობის მიღებაზე, მაგრამ მას ეს ძალიან გაუჭირდება. განსაკუთრებით იმ ვითარებაში, როდესაც „ენდიაის“ ბოლო კვლევებით დადგინდა, რომ 70 პროცენტი მხარს უჭერს ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის პირველმა პირმა ღიად მიიღოს გადაწყვეტილება, რომლითაც კანონი უნდა დაარღვიოს თუ ბიძინა ივანიშვილს არ მიანიჭებს მოქალაქეობას. ამით მიხეილ სააკაშვილი პირველ რიგში კონსტიტუციას დაარღვევს, შემდეგ ორგანულ კანონს მოქალაქეობის შესახებ. რაც მთავარია, ის ღიად უნდა დაუპირისპირდეს საკუთარი მოსახლეობის უმრავლესობის ნებას. თუ იმას ამბობენ, რომ ამ კვლევებს არ ენდობიან და ეჭვის თვალით უყურებენ ამ ინსტიტუტის სანდოობას, მაშინ ეს თქვან და თუ ენდობიან, მაშინ საუბარია სწორედ მოსახლეობის უმრავლესობის მიერ გამოხატულ ნებაზე. ეს ნება ხელმოწერებით გამოვლინდა, რომელიც არის ღია ტიპის პოზიციის დაფიქსირება, სადაც ნებისმიერი ადამიანის იდენტიფიცირება არის შესაძლებელი. ეს ნება, ვიმეორებ, ასევე დაფიქსირდა გამოკითხვით, რომელიც არის უფრო შენიღბული ფორმა, მაგრამ ნების გამოხატვისთვის დაცულობის გარკვეული ხარისხი აქვს. ამდენად, ადვილი არ არის უარის თქმა. დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილი მოქალაქეობას მიიღებს. თუ სააკაშვილი ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებს კანონიერ ვადაში და კანონიერად, ის ერთდროულად დაუპირისპირდება როგორც სამართალს, ეროვნულსა და საერთაშორისოს და საკუთარ მოსახლეობას. ეს ღია დაპირისპირება, არა მგონია, რომ მისთვის, როგორც პირადად, ასევე ხელისუფლებისთვის, სიკეთის მომტანი იყოს. ეს ძალიან სახიფათო გადაწყვეტილება იქნება.

***– ქალბატონო ეკა, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი სტრატეგია როგორია?***

– რა თქმა უნდა, არსებობს ალტერნატიული გეგმა, მაგრამ დაველოდოთ 5 აპრილს. დაველოდოთ გადაწყვეტილებას, რომელიც უნდა გამოცხადდეს. ამის შემდეგ, ბუნებრივია, შესაბამისი განცხადება გაკეთდება, როგორი გადაწყვეტილება იქნება მომავალ სტრატეგიასთან დაკავშირებით. ამ საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტის მიუხედავად, „ქართული ოცნების“ მთავარი გეზი არ შეიცვლება. ის მიზნები, რომლის საფუძველზეც შეიქმნა კოალიცია, ეს მიზნები ბოლომდე მიყვანილი იქნება. ეს ვერ შეუშლის „ქართულ ოცნებას“ ხელს, რომ შეწყვიტოს ბრძოლა ან შეცვალოს მის მიერ განცხადებული, ან დეკლარირებული რომელიმე პრიორიტეტი.



'ქართული ოცნების' წარმომადგენელი ეკა ბესელია აცხადებს, რომ არჩევნების გაყალბების შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილი ქუჩაში გავა და თავის ხმებს დაიცავს.

***– რამდენად ელოდებით სასამართლოზე სწორედ ამ სარჩელის დაკმაყოფილებას?***

– სასამართლოში სააპელაციო წესით იხილება დავა მოქალაქეობასთან დაკავშირებით. გახსოვთ, რომ პირველი ისტანციის სასამართლომ ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. საუბარია იმაზე, რომ მოსამართლეს არ მისცემენ იმის შესაძლებლობას, რომ მან მიიღოს სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილება. მეორე მიმართულება არის თუ რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს პირადად სააკაშვილმა 5 აპრილამდე. სასამართლოს გზით ნაკლებად არის მოსალოდნელი, რომ მოსამართლეს მისცენ უფლება, რომ მან კანონიერი გადაწყვეტილება მიიღოს, მაგრამ სააკაშვილს, რომელსაც პერსონალური პასუხისმგებლობა აქვს, გადაწყვეტილებას მან უნდა მოაწეროს ხელი. მას ძალიან გაუჭირდება უარის თქმა. ...ისმიერი კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რო...ლიც ხელისუფლების მხრიდან ამ ბოლო პერი...ში არის განხორციელებული, მის საზიანოდ ...ის. არა მგონია, რამე სერიოზული კრეატიუ... რამ მოიფიქროს ხელისუფლებამ, რომელიც ... გადაარჩენს მოსალოდნელი მარცხისგან, რო...ლსაც მათ საპარლამენტო არჩევნებზე ვუწი...წარმეტყველებთ.

***– ქალბატონო ეკა, თუ მოქალაქეობა არ ...ლო ივანიშვილმა...***

– ნებისმიერ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვი... იქნება კოალიციის რეალური ლიდერი, თუ ...ნ ამას კარგად ავუხსნით საზოგადოებას, შე...ლებელი იქნება ყველა სირთულის გადალახ... ხელისუფლებას ყოველთვის აკისრია პასუ...მგებლობა საკუთარ ქმედებებზე, მათ შორის ...მინ, როდესაც ის საკუთარ ხალხთან იწყებს ...პირისპირებას. სწორედ საზოგადოებამ უნდა ...ათხოვოს ხელისუფლებას პასუხი იმის გამო, ...მ ის პასუხისმგებლობას არ იღებს მის უკანო... ქმედებებზე. მე ძლიერ საზოგადოებაში ვხე...ვ გამოსავალს, ჯანსაღ ერთობაში, რომელმაც ...და შეაკავოს და შეცვალოს ეს ხელისუფლება.

***– რა გზით?***

– არჩევნების გზით. როდესაც არჩევნებს ...ყალბებენ, ხმების დაცვის კანონიერი უფლება აქვს საქართველოს მოსახლეობას.

***– ქუჩაში გასვლით?***

– მათ შორის ერთ-ერთი ფორმა ესეც არის, როგორც ცივილიზებული ფორმა. თუ რუსეთში ქუჩაში გამოსული საზოგადოება დემოკრატიის მაჩვენებელია და ამ აქციებს პირდაპირ ეთერში გვაჩვენებენ, საქართველოში ქუჩაში გამოსული ხალხი არ არის დემოკრატიის მაჩვენებლი? რასაკვირველია, არის. უბრალოდ, სწორად უნდა აქციებს დაგეგმვა, როდესაც ამის აუცილებლობის წინაშე დგები. ეს ერთ-ერთი ცივილიზებული ფორმაა ბრძოლის და დემოკრატიული სამყარო ამ ფორმას ცნობს. გერმანელები, ფარანგები ან ინგლისელები ჩამორჩენილები არიან, როდესაც სოციალურ საკითხებს ქუჩაში აპროტესტებენ? ბიძინა ივანიშვილმა ღიად განაცხადა, რომ ხმების დასაცავად, თუ არჩევნები გაყალბდა და შედეგები არსებითად შეიცვლება, ბუნებრივია, ჩვენ ხმები უნდა დავიცვათ ყველა კანონიერი გზით. თუ გაყალბებას უნდა შევეგუოთ და თვალი უნდა დავხუჭოთ ყველა უკანონობაზე, ეს არ იქნება გამარჯვებისთვის ბრძოლა. გამარჯვებისთვის იბრძოლებს „ქართული ოცნება“. ეს მზაობა გაცხადებულია.

***– პარტიის წევრი იქნებით?***

– დიახ, ვიქნები არაფერი ხელს არ მიშლის. დაველოდოთ დამფუძნებელ ყრილობას. პრეზენტაციაზე ტექნიკური მიზეზით არ ვიყავი იმიტომ, რომ საქართველოში არ ვიყავი. თუმცა, გზავნილი იყო, რომ საზოგადოებას დაენახა პოლიტიკაში ახალი სახეები მოდიან. მე ახალ სახედ უკვე აღარ განვიხილები და ეს სწორი სტარტეგია იყო.

***– ანუ ერთგვარი სვლა იყო?***

– რა თქმა უნდა.

***– საპარლამენტო სიაში იქნებით?***

– სიებზე ნუ ვილაპარაკებთ.

***– რატომ, ნაადრევია?***

– დიახ, თორემ არჩევნებშიც მივიღებ მინაწილეობას.

***– ადრე მაჟორიტარობაზე გააკეთეთ განცხადება...***

– არც ახლა არ გამოვრიცხავ. ჯერ გავიგოთ, არჩევნებს როდის ატარებს სააკაშვილი. თუ სააკაშვილის ზედმეტად ემოციურ ფონს შევხედავთ, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ოქტომბრამდე ვერ გაუძლებს და შეიძლება ვადამდელი არჩევნები მივიღოთ. ამას ნამდვილად არ გამოვრიცხავ.

# საქართველო ევროკავშირზე უარს არ იტყვის

ნათია ხურცილავა

– ევროკავშირში არის ევროს კრიზისი, მაგრამ საქართველო ევროკავშირში გაწევრიანებას ელოდება და ეს კრიზისი ამ მტკიცე გადაწყვეტილებას ვერ შეგვაცვლევინებს, – ამის შესახებ თორნიკე გორდაძემ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ „ევროკავშირ-აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პირველ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

ასე რომ, საქართველოს ხელისუფლებას ევროკავშირზე უარს ვერც კრიზისი და ვერც საშიში მეზობლის დიდი ძალისხმევაც ვერ ათქმევინებს უარს, მაგრამ, რამდენად მიგვიღებს ევროპული ოჯახი? ვჭირდებით კი?

ეს ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

გორდაძის განცხადებით, ბალტიისპირეთის ქვეყნები ევროკავშირის წევრები გახდნენ და ეს იყო წარმატება თავად ევროკავშირის ყველა მოქალაქისთვის.

გორდაძის განცხადებით, 10-15 წელიწადში ევროკავშირი კრიზისს დაძლევს და კვლავ გაფართოვდება.

– ზოგი ამბობს, რომ გაფართოება ევროს ასუსტებს, რომ გადაწყვეტილების მიღება 6-7 სახელმწიფოში უფრო ადვილია, ვიდრე 27-28-ში, მაგრამ ყოველი გაფართოების დროს ინტეგრაცია ქვეყნებს შორის ღრმავდება და ეს მნიშვნელოვანია. დარწმუნებული ვარ, გაფართოება გააძლიერებს როგორც ევროს, ისე ევროკავშირს, – განაცხადა თორნიკე გორდაძემ.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ისაუბრა ასევე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე და აღნიშნა, რომ საქართველომ ცოტა ხნის წინ ომი გადაიტანა, რომლის მიზანი იყო საქართველოს მოწყვეტა თავის ევროპულ ფუძესთან.

– იყო მცდელობა, შეჩერებულიყო საქართველოს ინტეგრაცია ევროკავშირთან. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ დემოკრატია სტაბილურობის გარანტიაა და ეს ორი ცნება ერთმანეთის გარეშე არ არსებობს. ჩვენ გვაქვს დეკლარირებული პოლიტიკა ქვეყნის ევროკავშირთან ინტეგრაციისა, – განაცხადა გორდაძემ.

სასტუმრო „რედისონში“ „ევროკავშირ-აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პირველი ფორუმი გაიხსნა.

ფორუმის მუშაობაში მონაწილეობენ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მაღალი რანგის წევრები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო მედიისა და ბიზნესწრეების წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები.



# სანდრო ბრეგაძე: ხელისუფლება პროვოკაციებისთვის ემზადება?

## „ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ არჩევნები გაყალბდება“

თამარ ნინიძე

**„კავკასიის ჰელსინკის ჯგუფის“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე ადასტურებს ირაკლი ალასანიას გავრცელებულ ინფორმაციას სამეგრელოში არსებული უკანონო ბანდფორმირებების შესახებ, რომელსაც ხელისუფლება აკონტროლებს. ბრეგაძე მოითხოვს, სააკაშვილმა გააუქმოს ეს ფორმირებები სამეგრელოშიც და თბილისშიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანა სამხედრო დაპირისპირებისა და პროვოკაციების პოლიგონად იქცევა. „ახალი თაობა“ სანდრო ბრეგაძეს ესაუბრა.**

***— ირაკლი ალასანიამ სამეგრელოში ახალაიების უკანონო ფორმირებებთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გააკეთა. როგორ ფიქრობთ, რა მიზანი აქვს ამ ფორმირებების წვრთნას?***

— ეს ინფორმაციები ჩვენ გვქონდა. ეს არ არის სიახლე. შემოდგომაზე დაიწყეს ამ ფორმირებების გაწვრთნა და ჩამოყალიბება, მე ვფიქრობ, ეს წვრთნები ემსახურება საარჩევნო პერიოდს. ნაციონალური მოძრაობა დღეს დგას სამხედრო ფორმირებებზე. მოსახლეობის უმეტესობა მოწადინებულია, რომ შეიცვალოს არსებული რეჟიმი, ხელისუფლება კი გასამხედროებული ფორმირებების ხარჯზე ახდენს სიტუაციის დაჭერასა და ავტორიტარული რეჟიმის შენარჩუნებას. სამეგრელო ყველაზე ცხელი წერტილი იქნება საარჩევნო პერიოდში. ჩემი თვალით მაქვს ნანახი, გაერთიანებულ ოპოზიციაში ყოფნის დროს როცა იყო საპარლამენტო არჩევნები, სამეგრელოს რეგიონში გაურკვეველი ფორმირებების ჯირითი, მოსახლეობის დაშინება, დატერორება, დაწიოკება. იმავესთვის ხდება დღესაც მომზადება. ეს ფეთქებადსაშიშია, იქვე რუსული სამხედრო შენაერთები დგანან და სამეგრელოში უკანონო ფორმირებების არსებობა პროვოკაციის საფრთხეს ქმნის. ამიტომ ალასანიას განცხადება ლოგიკური და სიმართლესთან ახლოს მდგომი იყო. ჩვენი მოთხოვნაა, ეს შეიარაღებული უკანონო ფორმირებები დაიშალოს სამეგრელოში და თბილისშიც.

***— ხელისუფლება აცხადებს, რომ ეს არის ადგილობრივი რეზერვისტების ჯგუფები, რომლებიც მზად არიან, ექსტრემალურ ვითარებაში იმოქმედონ. ამაზე ნუგზარ წიკლაურმაც ისაუბრა და სხვებმაც.***

— ეს ექსტრემალური ვითარება იქნება არჩევნები. ეს არის პოლიტიზირებული შენაერთები. დარწმუნებული ვარ, იმ შენაერთებში ოპოზიციის არც ერთი წარმომადგენელი არ არის. ეს არის სხვადასხვა სპეცსამსახურთან დაკავშირებული ადამიანების კრებული, გარკვეულ საფარქვეშ ხდება მათი მობილიზება. შენიღბვა არც ისე კარგად გამოუვიდა ხელისუფლებას, ეს არიან ზონდერჯგუფები, რომლებიც შეეცდებიან ქვეყნის შიგნით სიტუაციის გამწვავებასა და პროვოკაციებს.

***— თავის დროზე მხედრიონმა სამეგრელო დააწიოკა, მერე იყო ესებუასა და ელიავას მოვლენები, მაისის მოვლენები, გალში პარტიზანების ქმედებები. რატომ არის სამეგრელო დესტაბილიზაციის შესაქმნელად გამოყენებული ასე ხშირად?***

— სამეგრელოს რეგიონი გადაბმულია აფხაზეთთან, რუსული ჯარი დგას აფხაზეთში, პროვოკაცია სამეგრელოში ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე საქართველოს სხვა რეგიონებში. სამეგრელოს რეგიონის გარკვეულ ნაწილს ხელისუფლება ვერ აკონტროლებს და იქ უფრო ადვილია პროვოკაციებისა და თავდასხმების მოწყობა, მერე ამის დაბრალება ოპოზიციისთვის. სამეგრელომ შემოინახა ყველაზე მეტად ეროვნული სული და სწორედ სამეგრელო იყო ის ადგილი, სადაც პირველი პრეზიდენტი, ყველასათვის საყვარელი და პატივსაცემი ადამიანი, ზვიად გამსახურდია, იმყოფებოდა სიცოცხლის ბოლო პერიოდში. მხედრიონმა ეს ულამაზესი და უმდიდრესი კუთხე მიწასთან გაასწორა, გახსოვთ, სამეგრელოს ტყეებში უკანონო სამხედრო ფორმირებები იყვნენ შევარდნაძის დროს და მათ პარტიზანები ეწოდებოდათ.

***— დღემდე არის საუბარი იმაზე, რომ ახალაიები დათო შენგელიას რაზმებსაც იყენებენ ამ ე.წ. რეზერვში.***

— რეზერვისტთა მობილიზაცია თავდაცვის სამინისტროს ეგიდით ხდება, ასევე პარტიზანებსაც იყენებენ, ეს ცხადია. იქ ყველა იქნება გამოყენებული იმისათვის, რომ სიტუაციის დესტაბილიზაცია მოხდეს. ყოფილი პარტიზანები თუ ახლანდელი სპეცსამსახურების მუშაკები — ყველანი ერთად იქნებიან. მე როგორც ვიცი, დაცვის სამსახურების საფარქვეშაც აპირებენ რეზერვის გაკეთებას. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლება ემზადება არა არჩევნებისთვის, არამედ ომისთვის. ახლა არ დგას სამოქალაქო ომის საფრთხე, მაგრამ მუდმივად არის ამის საშიშროება მას მერე, რაც მოხდა სამხედრო გადატრიალება. ერთხელ დაშვებულმა პრეცედენ-



ტმა ჯაჭვური რეაქცია გამოიწვია. ახლა ვინმე თუ იმას ფიქრობს, რომ ხელისუფლება მარცხისთვის ემზადება და მერე სახლში წავა, ძალიან ცდება. ხელისუფლება სახლში წასასვლელად არ ემზადება, ემზადება ახალი სამთავრობო კარუსელისთვის, რომ პრეზიდენტის ადგილზე დაჯდეს სხვა, პრემიერად კი სააკაშვილი მოვიდეს. ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ არჩევნები გაყალბდება. ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ ნაციონალური მოძრაობა პირველ ადგილს დაიწერს და არჩევნები გაყალბდება. მე მაქვს კითხვა ოპოზიციასთან — არის ოპოზიციაში ძალა, რომელიც სერიოზულ პროტესტს გამოხატავს ამის წინააღმდეგ და არ შეეგუება მეორე ან მესამე ადგილზე გასვლას? ჩვენ გვახსოვს ქრისტიან-დემოკრატები და ახლანდელი რადიკალი ოპოზიციონერები, რომლებიც პარლამენტში შევიდნენ და მეორე ადგილს შეეგუვნენ. არის საშიშროება, რომ ოპოზიციაში ისევ მოხდეს ღალატი და ხელისუფლებას მიეცეს საშუალება, კიდევ ათი ან თორმეტი წლით მართოს ქვეყანა, რაც კატასტროფა იქნება.

***— მოდით, დავაკონკრეტოთ, პოლიტიკური სპექტრი მრავალფეროვანია. ვის გულისხმობთ, როცა ღალატზე საუბრობთ?***

— მე ვგულისხმობ ქრისტიან-დემოკრატებს, საპარლამენტო რამდენიმე პარტიას და ვსვამ კითხვას, რომელიმე პარტია — ლეიბორისტები, სახალხო კრება თუ ქართული ოცნება, შეეგუება თუ არა მარცხსა და მეორე ადგილს? თუ ეს მოხდება, ჩათვალეთ, რომ ეს არ არის ის არჩევნები, რომლისთვისაც ქართველი ერი ემზადება. ამ შემთხვევაში ერი სხვაგვარი მოქმედებებისთვის უნდა მოემზადოს. დეკლარირებული უნდა იყოს ყველა ნამდვილი ოპოზიციური ძალის მიერ, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეეგუებიან არჩევნების გაყალბებას.

***— სააკაშვილმა ცოტა ხნის წინ მოულოდნელი განცხადება გააკეთა დასავლეთ ევროპის ქვეყნების საელჩოების მისამართით, გააკრიტიკა ისინი, ამას მოჰყვა მერე ბოზოხიძის კრიტიკა ჯონ ბასის მიმართ. როგორ ფიქრობთ, რატომ დაიწყო ასეთი შეტევები დასავლეთზე?***

— არც ერთმა საელჩომ არ უნდა აწარმოოს სახელმწიფოს წინააღმდეგ რაღაც ქმედებები. ამ მოსაზრებას ვეთანხმები, მაგრამ მიხეილ სააკაშვილის უშუალო უფროსები იყვნენ ამერიკის ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირები. ეს წლების მანძილზე ასე იყო, საქართველოს პრობლემები წყდებოდა ქვეყნის გარეთ. ახლა ეს, რაც ხდება, მგონია, რომ განწირულის ქმედებას ჰგავს. ამ ყველაფერს, ამავე დროს, შანტაჟის სუნიც უდის. არ იფიქროთ, რომ აკაკი ბოზოხიძის ნათქვამი არ იყო შეთანხმებული ხელმძღვანელობასთან. იქ სჭირდებათ აკაკი ბოზოხიძისნაირი ადამიანები, რომლების საშუალებითაც დააშანტაჟებენ უცხოელებს. იქნება ასევე ადამიანების ჯგუფი, რომელსაც ექნება მშვიდობის მტრედის როლი. დასავლეთის ქვეყნები არ უნდა წამოეგონ ასეთ შანტაჟს. ხელისუფლების დამარცხება შესაძლებელია სერიოზული ოპოზიციური ფრონტის მიერ. ეს ფრონტი შესაქმნელია და ამაში სერიოზული წვლილი უნდა შეიტანოს ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა, რადგან მას აქვს სერიოზული პოტენციალი იმისა, რომ მოახდინოს სხვადასხვა პოლიტიკური ძალების გაერთიანება ერთი კონკრეტული მიზნის ირგვლივ. ეს არის არსებული ხელისუფლების შეცვლა — დემოკრატიული რეჟიმის დამყარება. არ უნდა მოვიდეს ორი-სამი პოლიტიკური პარტიის ლიდერად პარლამენტში, იმიტომ რომ ორი და სამი პარტიით გაძნელდება და მეტიც, უტოპიური იქნება არსებული რეჟიმის შეცვლა.

***— სააკაშვილი დასავლეთს უპირისპირდება, მაგრამ რუსეთთანაც არა აქვს კარგი ურთიერთობა. ეს ხომ არ მოასწავებს იმას, რომ საქართველო იზოლაციაში მოექცევა?***

— საქართველო ფაქტობრივ იზოლაციაშია აგვისტოს ომის შემდეგ. ჩვენს პრეზიდენტს წლების განმავლობაში აღარ ხვდებოდნენ დასავლეთის ქვეყნების ლიდერები. ობამასთან შეხვედრა ამერიკისთვის სასარგებლო საკითხებზე იყო, ასე ვფიქრობ. ამიტომ საქართველო ახლა იზოლაციაშია როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურადაც. ევროპაში არ დაგვრჩა სერიოზული პარტნიორი, რომელიც ჩვენს ინტერესებს უფრო გაითვალისწინებდა, ვიდრე რუსეთისას. ეს სააკაშვილის გაუაზრებელი პოლიტიკის გამო მოხდა. ვაშაძე აბსოლუტური დილეტანტია საგარეო საკითხებსა და დიპლომატიაში. აქ მარტო მასზე კი არა, ქვეყნის პირველი პირის მიერ წარმოებულ პოლიტიკაზეც არის საუბარი. ქაოსური და სპონტანური პოლიტიკა აქვს და არ გააჩნია მყარი საგარეო ვექტორი. ეს გამომდინარეობს პირველი პირების ფსიქიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან. ჩვენ გვყავს გაუწონასწორებელი ადამიანების ჯგუფი ქვეყნის სათავეში. მათ აქვთ ერთადერთი პრინციპი, როგორმე შევინარჩუნოთ ხელისუფლება, რათა კარგად ვიცხოვროთ.

***— სენატორები აკრიტიკებენ საქართველოს ხელისუფლებას. ეს ეხება დემოკრატიულ პროცესებსა და არჩევნებს, ოპოზიციის მიმართ განხორციელებულ ტერორს. ამერიკის რესპუბლიკურ პარტიასთან სააკაშვილს კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მაგალითად, ბუშთან და მაკკეინთან. ახლა დემოკრატებთან ურთიერთობა დაიძაბა. როგორ წარიმართება, თქვენი აზრით, მომავალში ეს ურთიერთობები?***

— ეს დამოკიდებული იქნება იმ პროცესებზე, რომლებიც წარიმართება წინასაარჩევნოდ და არჩევნების შემდეგ. დასავლეთს მოუწევს, ანგარიში გაუწიოს ქართველი ერის ნებას. დასავლეთმა უნდა თქვას თავისი სიტყვა არჩევნების გაყალბების შემდეგ. თუ დასავლეთმა ხმა არ ამოიღო უკანონობებზე, საქართველოს მოსახლეობაში გაიზრდება დასავლეთისადმი უნდობლობა და ნიჰილიზმი. მე მინდა, დასავლური ფასეულობები დამკვიდრდეს ქვეყანაში, მაგრამ ამაში ამ ქვეყნებმა უნდა შეგვიწყონ ხელი. არჩევნების გაყალბების შემთხვევაში მტკიცე პოზიცია უნდა დაიჭირონ. დასავლეთზეა დამოკიდებული, რა უნდათ საქართველოში — აღმოსავლური ტიპის დესპოტური მმართველობა თუ დემოკრატიული ხელისუფლება. ვფიქრობ, სწორ არჩევანს გააკეთებს.

***— ქართულ ოცნებაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით თუ მიმდინარეობს მოლაპარაკებები და რა შედეგი გაქვთ?***

— დასამალი არაფერია, შეხვედრა შედგა. არ ვარ უფლებამოსილი, კონკრეტულ საკითხებზე ვისაუბრო. საინტერესო შეხვედრა იყო. დღეს ჩვენი მიზანი ეროვნული ყრილობის მოწვევაა, სადაც გამოცხადდება ეროვნული მოძრაობის აღდგენის შესახებ. ეროვნულ იდეოლოგიაზე იქნება ეს დაყრდნობილი და იმ იდეალებზე, რომლებიც ეკუთვნოდათ ილია ჭავჭავაძეს, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას. მე, პირადად, ბატონი ივანიშვილის დოქტრინაში ყველაზე მეტად მომწონს ადგილი, სადაც საუბარია იმაზე, რომ მომავალ საქართველოში უნდა იარსებონ ყველანაირი ტიპის პოლიტიკურმა ძალებმა. აბსოლუტურად მიუღებელია ჩვენთვის ნეოლიბერალური ძალების იდეოლოგია, მაგალითად, რესპუბლიკელებისა. მაინც ვფიქრობთ, რომ ასეთი ტიპის ძალებმაც უნდა იარსებონ მომავალ საქართველოში, მაგრამ მათთან ჩვენ პარტნიორული ურთიერთობა ვერ გვექნება. ისინი კი ფიქრობენ, რომ მხოლოდ მათ უნდა იარსებონ მომავალ საქართველოში. საბოლოო მიზნისთვის, რომელიც გულისხმობს საქართველოში დემოკრატიული ხელისუფლების მოსვლას, ჩვენ შესაძლებელია ყველანაირ ძალასთან ერთად მივიღოთ მონაწილეობა. დღეს ნაადრევია იმაზე საუბარი, ვისთან ვიქნებით და როგორ ვიქნებით. არჩევნებამდე ისე შეიძლება წარიმართოს პროცესები, რომ სხვა სურათი მივიღოთ. არჩევნებში მონაწილეობას აზრი აქვს მაშინ, როცა არის გარკვეული გარანტია, რომ არჩევნებს არ გააყალბებენ.

***— ბატონი ზვიად გამსახურდიას მომხრეთა ხმებზე ნადირობა ხომ არ დაიწყება?***

— ყველა ცდილობდა ამ დიდი ძალის გამოყენებას ახლო წარსულში. არ აინტერესებდათ არც ზვიად გამსახურდიასა და არც მერაბ კოსტავას იდეები, თუნდაც სააკაშვილის ხელისუფლება ავიღოთ, სადაც ერთგვარი სანელებლებივით ჰყავთ შეყვანილი პარლამენტში რამდენიმე ე.წ. ზვიადისტი, მაგრამ გამსახურდიასა და კოსტავას მიერ წარმოდგენილი პოლიტიკური სისტემის საპირისპირო გზით მიერეკება დღევანდელი ხელისუფლება. ამიტომ მოხდება ჩვენი მომხრეების გაერთიანება და იმ იდეების რეალიზაცია, რომლისთვისაც ეს ორი ადამიანი იბრძოდა და არა იმისთვის, რომ ვიღაცას მივეხმაროთ და ხელი შევუწყოთ გამარჯვებაში.

## თემურ შაშიაშვილი სააკაშვილის კეთილგანწყობას თურქეთის მიმართ სკეპტიკურად აფასებს

„თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მხრიდან თურქეთის მიმართ კეთილგანწყობას სკეპტიკურად უყურებს.

„პანოსმალური იდეებისადმი ჩვენი პრეზიდენტის დეკლარირებული ერთგულება, თურქეთის ძმობის თაობაზე დედამისის მონათხრობის არაერთგზის ხსენება, როგორც ისტორიულ სამართლიანობასთან შეუსაბამო, ანგრევს ჭეშმარიტ კეთილმეზობლურ ურთიერთობებს და კეთილმოსურნე განწყობას ქართველი ერისა თურქეთის ღირსეული ხელმძღვანელის ერდოღანის და მისი დიდი ისტორიის მქონე ხალხის მიმართ“ -აღნიშნა შაშიაშვილმა.

ნიუსპრესი

## სოფელ ქესალოს მოსახლეობამ პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან აქცია გამართა



გარდაბნის რაიონის სოფელ ქესალოს მაცხოვრებლები მიწის დამუშავების უფლებას მოითხოვენ. აღნიშნული მოთხოვნით მათ პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან პარასკევს აქცია გამართეს.

აქციის მონაწილეების თქმით, ქესალოს მკვიდრებს 600 ჰა მიწა აქვთ, რომელსაც წლების განმავლობაში იჯარით ამუშავებდნენ, თუმცა, შემდეგ ჩამოართვეს და დამუშავების საშუალებას არ აძლევენ.

აქციის ორგანიზატორის, პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერის გიორგი ლაღიძის განმარტებით, სოფლის მაცხოვრებლებმა არაერთხელ გამოთქვეს ამ მიწების საკუთრებაში გადაცემის სურვილი.

„თუმცა, მათ მიწა ჩამოართვეს და სოფლის მეურნეობის ყოფილ მინისტრს მიხეილ სიმონიშვილს მიჰყიდეს“ — განაცხადა ლაღიძემ.

აქციის მონაწილეებმა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მიწის დამუშავების უფლების მოთხოვნით წერილი შეიტანეს.

ნიუსპრესი

## წეროვანში თიბილოვზე მუშაობენ




სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტობის კანდიდატის დიმიტრი მედოევის ახალგორის საარჩევნო შტაბის წარმომადგენლის ჯიმშერ მელაძის განცხადებით, წეროვანის დევნილთა დასახლებაში ლეონიდ თიბილოვის და დათო სანაკოევის სასარგებლოდ მუშაობენ.

„თიბილოვზეც მუშაობენ და სანაკოევზეც. ასეთი ინფორმაცია მაქვს მე და ასეც არის, მაგრამ სულ ტყუილად. ადრე კოტაევზეც ბევრი ფული დარიგდა და მერე ჯიოევაზეც, მაგრამ კოტაევმა პირველი ტურისას ვერ მოიგო, ჯიოევა კი ინაუგურაციის ნაცვლად რეანიმაციაში მოხვდა“, — აღნიშნა მელაძემ.

მისივე თქმით, არჩევნებში თიბილოვი ვერ გაიმარჯვებს, თუმცა ახალგორში მედოევმაც რომ ვერ გაიმარჯვოს, პრეზიდენტი მაინც მედოევი გახდება. „არც სანაკოევი და არც თიბილოვი. სხვა ვერ გაიმარჯვებს. რუსებს ვინც აწყობთ, ის გაიმარჯვებს. სხვამ რომ გაიმარჯვოს, მაინც მედოევი იქნება. მედოევმა გამგებელი უკვე მოხსნა და სხვა დანიშნა. ყოფილი გამგებელი ჯუსოევი აქ თითქმის არ იყო ხოლმე, მოსახლეობას არ ხვდებოდა. გარდა ამისა, ფულიც შეჭმული აქვს. მედოევმა დარეკა საელჩოში, იქიდან ბროვცევთან დარეკეს და გაფრინდა შენი ჯუსოევი. ხომ ხედავთ, მედოევი ჯერ არ არის პრეზიდენტი და უკვე ბრძანებებს იძლევა. ისედაც რუსეთი აფინანსებს ყველაფერს, რუსეთი გვაძლევს ბიუჯეტს“, — განაცხადა ჯიმშერ მელაძემ.

მელაძემ კომენტარი ახალგორში გავრცელებულ ინფორმაციაზეც გააკეთა, რომლის თანახმადაც მედოევის გაპრეზიდენტების შემთხვევაში, მელაძე ახალგორის მილიციის უფროსად დაინიშნება. „არის ამაზე ლაპარაკი. შესაძლებელია, სადაც დამნიშნავენ იქ წავალ“, — აღნიშნა მელაძემ.

სამხრეთ ოსეთში დეფაქტო საპრეზიდენტო არჩევნები 25 მარტს არის დანიშნული. არჩევნებში 4 კანდიდატი მონაწილეობს: დიმიტრი მედოევი — რუსეთის ფედერაციაში ე.წ. სამხრეთ ოსეთის ე.წ. ელჩი; ლეონიდ თიბილოვი — ადგილობრივი ე.წ უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელი; სტანისლავ კოჩიევი და დავით სანაკოევი.

მცხეთა–მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი

# ლაშა ღლონტი: არ მინდა, ცოლმა ჩემს სიმღერებზე იეჭვიანოს“

ეკა ირემაშვილი

**30 მარტს დიდ საკონცერტო დარბაზში მომღერალი ლაშა ღლონტი თავის პირველ სოლოკონცერტს გამართავს, რომელშიც თავის უახლოეს მეგობრებთან ერთად წარდგება მსმენელის წინაშე. ამავე კონცერტზე გაიყიდება ლაშას პირველი დისკი, რომელსაც მომღერალმა ‘მონატრებიხარ ფიქრებს~ დაარქვა. ლაშა არ მალავს, რომ ამ სიმღერამ ბევრი ოჯახი შექმნა და ამით თავადაც ბედნიერია. კიდევ რა სიახლეებსა და სიურპრიზებს უნდა ველოდოთ მომღერლისგან, ამის შესახებ ლაშა ღლონტი ‘ახალ თაობას~ ესაუბრა.**

## ლაშა ღლონტი:

— კონცერტის დროს მთავარი არ არის, შენ რა მოგწონს. ჩემთვის მთავარია, მაყურებელი იყოს კმაყოფილი. ამ კონცერტზე იქნება აკადემიური ნაწილიც, რომელიც ბიძინა კვერნაძის, მარიკა კვალიაშვილის, მაცაცო სებისკვერაძის, ჯანსულ კახიძის სიმღერებს გააერთიანებს და იქნება თანამედროვე კომპოზიტორების სიმღერების ნაწილიც, რომელშიც დათო არჩვაძის, ქეთი გაბისიანისა და სხვა ახლანდელი კომპოზიტორების სიმღერები შესრულდება. მათგან იქნება სრულიად ახალი სიმღერებიც, ძალიან ლირიკული კონცერტი არ იქნება, გასართობი ელემენტებიც არის ამ კონცერტზე კარგი გაგებით, თუმცა, გემოვნების კომპრომისზე არ წავალთ. საინტერესო სიურპრიზები გვაქვს და, ვინც მოვა, ნახავს, თან მონაწილეები მეყოლებიან მერაბ სეფაშვილი, ნუკრი კაპანაძე, დათო გომართელი, გიო ხუციშვილი „ალილო“, „თეატრალურის კვარტეტი“, „ქართული ხმების“ პატარა წევრები. მათთან ერთად შევასრულებ მათ ჰიტებს სრულიად ახალი ინტერპრეტაციით. ეს იქნება ამ მომღერლების ცნობილი სიმღერების დუეტები ჩემთან ერთად. ჩემს კონცერტზე ჩემი გოგონა ანიც იმღერებს და ჩემი და — ანანოც. ამავე კონცერტზე შედგება ჩემი ალბომის პრეზენტაცია, რომელსაც დიდი ხანია საზოგადოება ელოდება, რადგან დიდი ხნის წინ დავაანონსე. ჩემი თავმოუბმელობის გამო არ გამოვიდა ეს ალბომი აქამდე, ახლა მოვახერხე მისი ჩაწერა და ექსკლუზიურად ამ კონცერტისთვის გამოვა და მხოლოდ ფილარმონიაში გაიყიდება 30 მარტს შეზღუდული რაოდენობით. ნამდვილად არ მინდა, ჩემი ალბომი სადღაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ეგდოს და 2 ლარად იყიდებოდეს. ბილეთსაც იმიტომ დავადეთ ხელმისაწვდომი ფასი, რომ ადამიანმა მოსვლა შეძლოს. როცა ალბომს შეიძენს მსმენელი, ის მისთვის უნდა იყოს ძვირფასი საჩუქარი. ამ დისკის ხარისხი ისეთი იქნება, გნებავთ, პოლიგრაფიული, გნებავთ, მუსიკალური, რომ ის ნამდვილად იქნება საჩუქარი მისი მფლობელისთვის. ეს დისკი ყველგან არ გაიყიდება, ის გაიყიდება მხოლოდ პრეზენტაციებზე და განსაკუთრებულ ადგილებში. დისკს, რა თქმა უნდა, დავარქვით „მონატრებიხარ ფიქრებს“.

***— დიდი ხანია, ამ ყველაფრისთვის ემზადებით?***

— დაახლოებით ერთი თვეა. მართლა ვერ გავრისკავდი და ვერ გადავდგამდი ამ ნაბიჯს, მეგობრები რომ არ მყოლოდნენ.

***— რატომ, მშიშარა ხართ?***

— არა, უბრალოდ, არ მინდოდა, ამბიციურობაში ჩამომრთმეოდა. ეს კულტურის სამინისტროს პროექტია, რომელიც შემოგვთავაზეს. დიდი რეპერტუარი არ მაქვს, ამიტომ მეგობრებთან ერთად გავაკეთე საღამო. სოლოკონცერტი კი ჰქვია, მაგრამ მეგობრებთან ერთად ვიმღერებ. ბევრი ისეთი ჩემი მეგობარიც იქნება, რომლებიც ძალიან მაგრად მღერიან, მაგრამ მათ ფართო საზოგადოება არ იცნობს. მინდა, მათაც ხელი შევუწყო და წარმოვაჩინო. გპირდებით, დიდი სიამოვნება ელის მაყურებელს. რამდენიმე ახალი სახე, ძალიან ნიჭიერი მომღერალი გამოჩნდება. მსმენელსა და მაყურებელს დიდი მადლობა. ბილეთების გაყიდვა რომ დაიწყო, ცოცხალი რიგები დადგა. ეს ძალიან სასიამოვნოა, განა იმიტომ, რომ ჩემი სოლოკონცერტია, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი მსმენელი ქართულ მუსიკას დიდ პატივს სცემს. ეს უდიდესი ბედნიერება და სიხარულია. 10 დღით ადრე ბილეთების 90 პროცენტი გაიყიდა. იყო შემოთავაზებები, მეორე და მესამე დღესაც ჩაგვეტარებინა კონცერტი, მაგრამ კატეგორიული უარი ვთქვი, იმიტომ რომ ამ კონცერტში არანაირი კომერციული გათვლა არ არის. ეს არის მხოლოდ-დამხოლოდ მეგობრობის, უსაზღვრო სიყვარულისა და ქართული სიმღერის დღესასწაული.

***— მაშინ, რა ქნას იმ მაყურებელმა, ვისაც ბილეთები არ შეხვდა?***

— ბილეთის ფასი ისეა შერჩეული, რომ ყველა კატეგორიის მაყურებელი მოხვდეს. რეალობა ასეთია — მსურველი ძალიან ბევრია, რაც ნამდვილად მახარებს. ქართულ სიმღერას რომ ამდენი თაყვანისმცემელი ჰყავს, ეს თითოეული ქართველის წარმატებაა. გამოდის, რომ რასაც ვაკეთებთ, ასე თუ ისე, სწორია, რაც სტიმულია ჩემთვის, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტი გავაკეთო.

***— რეპერტუარი როგორ შეარჩიეთ?***

— პარალელურად კვარტეტ „ალილოს“ ხელმძღვანელიც ვარ. ადრე „ალილოს“ ერქვა „ზარები“, რომელიც გურამ თამაზაშვილმა ჩამოაყალიბა. მერე გამოვიდა მარიკა კვალიაშვილის სიმღერა „საშობაო“, რომელშიც გურამ თამაზაშვილთან ერთად მღერის ჩემი შვილი ანი ღლონტი. ამ კლიპის გამოსვლის შემდეგ „ზარებს“ გადაერქვა სახელი პატრიარქის კურთხევით და დაერქვა „ალილო“. თავიდან ანსამბლი დიდი იყო, რომელიც დაიშალა, მაგრამ ახლა თავიდან იკრიბება, მე კი კვარტეტ „ალილოს“ ხელმძღვანელი ვარ. ჩვენ გვაქვს გაწერილი 2-საათიანი პროგრამა და ვატარებთ კონცერტებს საქართველოშიც და საზღვარგარეთაც. რეპერტუარში შედის ჩემი სიმღერებიც და კვარტეტ „ალილოს“ სიმღერებიც. ამიტომ ამ კონცერტის მომზადება არ იყო რთული. ვინც ამ საღამოში მონაწილეობს, მართლა ჩემი მეგობარია. ისინი იმიტომ არ მყავნან პროგრამაში, რომ ვარსკვლავები არიან, თუმცა, ისინი მართლა არიან ქართული ესტრადის ვარსკვლავები. ჩემთვის არ არის რთული ამ ადამიანებთან მუშაობა, ჩვენ ძალიან ხშირად ვართ ერთად და გვიმღერია სხვადასხვა სიმღერა. რასაც ვაკეთებ ცხოვრებაში, როგორც ვცხოვრობ ჩემს მეგობრებთან ერთად, რა ურთიერთობებიც მაქვს, ამის მიწოდება მინდა სცენიდან მაყურებლისთვის ყოველგვარი გადაპრანჭვის გარეშე. იქნება რეპერტუარში რამდენიმე ძალიან რთული სიმღერა, რომელიც მართლა კლასიკაა, თუმცა, იქნება პირდაპირი იმპროვიზაციაც, მგონია, რომ მაყურებელი არ იქნება მკაცრი. მინდა, ყველამ ერთად კარგი დრო გავატაროთ. ჩვენი საღამოს წამყვანები არიან კახა მიქიაშვილი და სალომე გოგიაშვილი. სალომეს მონაწილეობა სიმბოლურია, იმიტომ რომ ის თავგასას შვილია, რომელიც „ქართული ხმების“ წევრი იყო.

***— ბევრი ახალი სიმღერა გაქვთ?***

— დათო არჩვაძემ დამიწერა ახალი სიმღერა, ძალიან მაგარია, მომწონს, მაგრამ ვერ შევადარებ „მონატრებიხარ ფიქრებს“. დათომ მითხრა, ამ სიმღერის მერე სხვა სიმღერის გაკეთება მართლა რთულიაო და ასეც აღმოჩნდა. კიდევ შეიკრიბა ტანდემი — დათო არჩვაძე, ნანა ცინცაძე და მე და ჩაიწერა სიმღერა, რომელიც ძალიან კარგია. ჰიტების წერა ადვილი ნამდვილად არ არის. ერთი მომენტია „მე შენგან ნაფერებ ლურჯ იებს ვინახავ“, ამ სიმღერას ასეთი მისამღერი აქვს. ეს თემა ჩემთვის იყო ძალიან ახლობელი. ტექსტის ავტორ ნანა ცინცაძისთვის არ მითქვამს, მაგრამ რაღაცნაირად ჩავაწვეთე, რომ ეს თემა ყოფილიყო ამ სიმღერაში და, იცით, რატომ? მე და ჩემი მეუღლე ამას წინათ ვათვალიერებდით სურათების ალბომს და უცებ აღმოვაჩინე კონვერტი, რომელშიც იდო გამხმარი ყვავილები. რომ ვკითხე, რა არის-მეთქი, მითხრა, 18 წლის წინ პირველი თაიგული რომ მაჩუქე, ის მაქვს შენახულიო. ნამდვილად არ მეგონა, ამას თუ შეინახავდა და რაღაცნაირად გულზე მომხვდა. მინდოდა, ამ ფრაზით მადლობა მეთქვა ჩემი მეუღლისთვის.

***— თქვენმა მეუღლემ უკვე იცის ეს სიმღერა?***

— ერთ გადაცემაში იყო პრემიერა, იქ გავაჟღერე ეს ყველაფერი და ძალიან გაუხარდა, მანამდე არ იცოდა.

***— რომანტიკული სიმღერები გაქვთ. თქვენ ხართ რომანტიკოსი?***

— როგორ შეიძლება, ქართული სიმღერა, ქართული ლექსი, ქართული პოეზია იცოდე და არ იყო რომანტიკული. ყველა საქმეს რომანტიკა სჭირდება. ტექნიკურ საქმესაც კი რომანტიკა და რაინდობა სჭირდება. ერთნაირი პროფესიის ადამიანები რომ შეადაროთ, რომანტიკოსი უფრო ნიჭიერი იქნება, იმიტომ რომ ის აბსოლუტურად სხვაა. თუ სიყვარული და აღმაფრენა არ არის, ნებისმიერი საქმე განწირული და მკვდარია.

***— თქვენმა სიყვარულმა განიცადა ტრანსფორმაცია?***

— როცა ოჯახს ქმნი, ის არის მანუფაქტურა — ყველას თავისი ხედვა, ინტერესი აქვს, კარგი გაგებით, ყველაფერი სხვა სიბრტყეში გადადის. თუ სიყვარული არსებობს, ის როგორ სიბრტყეშიც არ უნდა გადავიდეს, მაინც იცოცხლებს. რა სიბრტყეში უნდა გადავიდეს ჩვენი ურთიერთობა, რომ ეს დამოკიდებულება შეიცვალოს? არაფერი არ ხუნდება, უბრალოდ, შეიძლება იმ წუთას ისევ ვერ გამოხატო, იმიტომ რომ ისედაც ნათელია ყველაფერი — ოჯახია შექმნილი და ცხოვრობ, ასეთ დროს ეგ კითხვა არც ისმება საერთოდ. დედისა და შვილის სიყვარულს სჭირდება გამოხატვა ან კითხვის დასმა? სულ სხვაა, მეორე ცხოვრება რომ გაქვს, რასაც შენი სიმღერა ჰქვია. როცა ცოლი მოვიყვანე, ვუთხარი, სიმღერაზე არ იეჭვიანო-მეთქი. სიმღერა არასოდეს არავისთვის მიმღერია და არც ვუმღერებ. ის იმდენად წმინდა და სუფთაა ჩემთვის, რომ მას არავის ვუმღერებ.

***— მიძღვნებს გულისხმობთ?***

— მიძღვნით შეიძლება ვიღაცას მივუძღვნა სიმღერა, მაგრამ სიმღერა ვიღაცას ვუმღერო, ეს ჩემში არ ზის.

***— არც მეუღლეს?***

— არც მეუღლეს, არავის. სიმღერით შეიძლება მხოლოდ საგალობელი ვუმღერო უფალს. ყველა ადამიანს აქვს თავისი საიდუმლო, რომელიც არავინ იცის. სიმღერა არის ჩემი საიდუმლო, ჩემი ლოცვა, ჩემი საგალობელი და განწმენდის საშუალება. მგონია, იმიტომ უსმენს ჩემს სიმღერებს მსმენელი, რომ გულწრფელი ვარ.



*— ლაშა, რა გზა გაიარეთ დღემდე?*

— ძალიან რთული გზა გავიარე, რომელიც მოითხოვს შრომას, დიდ ენერგიასა და ენთუზიაზმს, მაგრამ სულიერი მდგომარეობა მაშინაც და ახლაც არის აბსოლუტურად ერთი და იგივე. როცა მიჭირდა, მაშინაც კომფორტულად ვიყავი და, როცა შედარებით გვილხინს, მაშინაც კომფორტულად ვარ, იმიტომ რომ ქართული სიმღერა არის ფენომენი, რომელიც შენი პარალელურად ცხოვრებაა და გაძლევს საშუალებას, ისუნთქო, იცხოვრო და იყო ბედნიერი. ყველა ჭირის, ყველანაირი სიტუაციის გამოსავალი ჩემთვის ქართული სიმღერაა. გზა ია-ვარდით მოფენილი არასოდეს არის და წარმატებაც და დაცემაც ყოველთვის დროულია. დათო არჩვაძეს განსაკუთრებული მადლობა სიმღერისთვის „მონატრებიხარ ფიქრებს“, რომელმაც ჩემს სოლოკარიერას გზა გაუხსნა. ამ სიმღერას ინტერნეტში დაახლოებით 4 მილიონი ნახვა აქვს. განსაკუთრებით ემიგრანტებისთვის არის ძალიან საყვარელი, ბევრი მეხმიანება, ბოლო დროის ყველაზე წარმატებულ სიმღერად აღიარეს. ეს დათო არჩვაძისა და ნანა ცინცაძის დამსახურებაა და მთელი ცხოვრება ამ ადამიანებს მადლობას ვეტყვი. 7-8 წლის ბავშვები მირეკავენ და მეკონტაქტებიან. ეს ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა. მირეკავენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც არ უსმენდნენ ქართულ სიმღერას, მაგრამ მოტრიალდნენ ქართული სიმღერისკენ. სულ არ მაქვს იმის პრეტენზია, რომ მე მოვატრიალე, მაგრამ ფაქტი ასეთია. რაც მთავარია, ამ სიმღერამ ბევრი ოჯახი შექმნა.

***— სიმღერ-სიმღერით მაჭანკლობაც დაგიწყიათ.***

— ასე გამოდის. ყველაზე მაგარი ის არის, რომ უცხოელებიც მიკავშირდებიან, რომლებმაც ენა საერთოდ არ იციან, მაგრამ, ეტყობა, მელოდიურობის გამო მოსწონთ. ეს უდიდესი ბედნიერებაა, იმიტომ არა, რომ მე ვმღერი, არამედ იმიტომ, რომ ქართულ სიმღერაზეა საუბარი.

***— იცნობთ წყვილებს, ვისი ოჯახებიც თქვენი სიმღერის წყალობით შეიქმნა?***

— ძალიან ბევრი მწერს, რომ ჩემი სიმღერით შექმნეს ოჯახი, აუხსნეს ერთმანეთს სიყვარული და ამით ბედნიერი ვარ. მთელი ცხოვრება მადლობელი ვიქნები ნანა ცინცაძისა და დათო არჩვაძის. ამ ადამიანებმა შეძლეს ის, რაც აქამდე დაგროვილი მქონდა და არავინ იცოდა, სიმღერაში გამომეხატა. მაგ მომენტში დათოს ძალიან დიდი ტკივილი ჰქონდა, ნანა გვერდში დაუდგა, მეც ჩემებურად დავეხმარე, დათოს მაგივრად ვიმღერე, ასე გამოვიდა. ეს სიმღერა ჩემთვის კი იყო დაწერილი, მაგრამ სულიერად დავუდექი დათოს გვერდში.

***— კარგია, როცა ერთი სიმღერის გამო ამოგიჩემებენ?***

— ეს ერთი შეხედვით ჩანს, თორემ ამ სიმღერის უკან დევს ძალიან დიდი შრომა და გამოცდილება. მოხდა ისე, რომ ეს სიმღერა გახდა პოპულარული, იმიტომ რომ მასაზე იყო გათვლილი კარგი გაგებით — ტექსტი უნდა ყოფილიყო საყოველთაო, მელოდია — ტექნიკურად რთულად შესასრულებელი, სიყვარულზე, თანამედროვე არანჟირებით, მელოდიური, ქართული. ამ სიმღერის პოპულარობაში ძალიან ბევრი შრომა ჩაიდო. ის სკოლა, რომელიც გამოვიარე — ურთიერთობები დიდ კომპოზიტორებთან, ურთიერთობები ზაურ ბოლქვაძესთან, გოგი დოლიძესთან, მიშიკო შენგელიასთან — ყველაფერია თავმოყრილი ამ სიმღერაში. ხშირად ვიკრიბებოდით კახიძეებთან, სადაც იყვნენ გია ყანჩელი, ცნობილი მომღერლები. ეს უდიდესი ბედნიერებაა. ღმერთმა მაჩუქა ამ ადამიანებთან ურთიერთობის შანსი. 10 წელი ხმა არ ამომიღია, მხოლოდ ამ ადამიანებს ვუყურებდი და ვუსმენდი გაფაციცებით, ამ გარემოში ვიზრდებოდი. ჩემს სიმღერაში ეს სიმართლე ჩანს, ამიტომ ვამბობ, რომ ეს ჩემი წარმატება კი არ არის, ეს ქართული სიმღერისა და იმ გენის წარმატებაა, რომელიც უკვდავია. ყველაფერი კი მაინც უფლისგან მოდის, მე აბსოლუტურად არაფერ შუაში ვარ.

***— ხშირად გთხოვენ, „მონატრებიხარ ფიქრებს“ იმღერეო?***

— კი, საკმაოდ ხშირად. როცა ადამიანი მოდის და მთხოვს, ვიმღერო, უფლება არა მაქვს, არ ვიმღერო. ის ადამიანი სიმღერაზეა შეყვარებული. ვინც არ უნდა მთხოვოს და როგორც არ უნდა მთხოვოს, ყოველთვის ვიმღერებ, იმიტომ რომ სიმღერა ჩემთვის ცხოვრებაა.

***— პროფესიაში გეხმარებათ სიმღერა?***

— კი, რა თქმა უნდა, სიმღერა არის სიმართლე, სიყვარული, ცხოვრება.

***— ღიღინ-ღიღინით მუშაობთ?***

— მთლად ასე არ ვარ. თვალზე ოპერაციის შემდეგ ქირურგიას თავი დავანებე და უფრო კომერციაში წავედი. ამჟამად ერთ-ერთი ფირმის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ვარ, აბსოლუტურად არასამედიცინო კუთხით წამოვედი, მედიცინას ჩამოვშორდი და მთელი ცხოვრება ქართულ სიმღერას მივუძღვენი. უდიდესი პასუხისმგებლობა მაქვს ჩემი საქმის მიმართ, ამიტომ ასე ვარჩიე.

***— ოჯახმა ხომ არ გისაყვედურათ?***

— არა, იმიტომ რომ ჩემმა ოჯახმა ძალიან კარგად იცის, სიმღერა ჩემთვის რას ნიშნავს.

***— მაგრამ, დღეს სიმღერით ოჯახის შენახვა რომ რთულია?***

— კი არის რთული, მაგრამ გააჩნია სამსახურს. სახელმწიფო სამსახური ძალიან შრომატევადი და რთულია, მაგრამ, ახლა სადაც ვმუშაობ, ძალიან ეწყობა ჩემს დღევანდელ მოღვაწეობას სასიმღერო სფეროში და ხელს მიწყობს. ამ შემთხვევაში ჩემი ცნობადობა, სიმღერა და კომპანიის საქმიანობა ერთმანეთს შეერწყა.

***— თქვენი მეუღლეც მღერის?***

— კი, მაგრამ — სამომხმარებლო დონეზე.

***— ეს რას ნიშნავს?***

— ეს იმას ნიშნავს, რომ კონცერტებზე არ უნდა გამოვიდეს და არ უნდა იმღეროს. ჩემი მეუღლე კარგად მღერის, მაგრამ სიმღერა ძალიან რთულია, როცა გამოდიხარ და 2000 კაცი გისმენს, მაშინ სულ სხვა პასუხისმგებლობაა. დიდი შრომაა საჭირო. არავის ეგონოს, რომ მომღერალი უბრალოდ გამოდის და მღერის. ნანახი მაქვს ჰამლეტ გონაშვილის, გურამ თამაზაშვილის რეპეტიციები და, როცა ადამიანი ამას ნახავს, მიხვდება, რომ სიმღერა მხოლოდ ნიჭი არ არის.

***— შრომასთან ერთად, ხმას მოვლაც უნდაო. თქვენ უვლით?***

— რომ გითხრათ, ხმას ვუვლი-მეთქი, ასე არ არის. ჩემი ცხოვრება რთულია, დაძაბული გრაფიკები მაქვს, სულ ბანკეტებია, სულ სიმღერებია, სულ შეხვედრებია. თუ სწორად მღერი, ყველაფერი კარგად იქნება, ხმა მხოლოდ ყელი არ არის, ძალიან ბევრი ნიუანსია აქ ჩართული. რაც არ უნდა თოხლო კვერცხები ყლაპო, თუ სწორად არ სუნთქავ, დარჩები თოხლო კვერცხივით.

***— ლაშა, სოლოკარიერა რატომ დაიწყეთ?***

— რა ვიცი, ასე გამოვიდა. ეს ჩემი პირველი სოლოკონცერტია და ვნახოთ, რა გამოვა. ორი სიმღერის პრემიერა იქნება, რომელიც სპეციალურად ამ საღამოსთვის დაიწერა.

***— ყოველთვის მღერით, ყველანაირ განწყობაზე?***

— კომპაქტდისკს ხომ ვუშვებ, ძალიან ბევრჯერ გადავწერე პროგრამა და იცით, რატომ? ორშაბათს ასე მინდა და სამშაბათს ისე მინდა. ოჯახის წევრებიც გამიგიჟდნენ, რამდენს ცვლი, რა უბედურებააო. მინდა, ყველა სიმღერა შევიდეს დისკში, მაგრამ არ ეტევა, მერე, ამოყრაზე რომ მიდგება საქმე, მაშინაც ვირჩევ, რომელი დავტოვო და რომელი — არა. ასე ვარ სიმღერის დროსაც. კონცერტი სხვა მომენტია, იქ მაყურებლამდე უნდა მიიტანო შენი სათქმელი, მაგრამ სხვა მომენტებიც არის — განწყობა უნდა იყოს სათანადო, აპარატურა, მაყურებელი. უცხოეთში რომ დავდივართ, იქ იგრძნობა ეს ყველაფერი — უფრო პროფესიონალური და თავისუფალია იქაურობა. ბევრი მეკითხება, ჩვენს ესტრადას რა ეშველებაო და ლანძღავენ. მიმაჩნია, რომ ჩვენს ესტრადას აკლია თავისუფლება, მაგრამ ამაში იმას არ ვგულისხმობ, რომ შიშველმა იარო სცენაზე. შინაგან თავისუფლებაზე მაქვს ლაპარაკი, ეს ყველაფერი უცხოეთში არის და ჩვენთან არ არის, თუმცა, ეს ბუნებრივია — 70-წლიანმა რეჟიმმა თავისი კვალი დატოვა. ყველაფერი ერთმანეთთან არის გადაჯაჭვული, ჩვენ ახლა ვსწავლობთ თავისუფლებას, თან თავისუფლება გვგონია, წითელზე რომ გადახვალ, არადა, ეგ უკულტურობა და უზრდელობაა. ასევე უნდა იყოს ხელოვნებაშიც. თავდაჭერილი თავისუფლება გვჭირდება. ქართულ ცეკვაში იგრძნობა თავისუფლება, იქ შებოჭილი არ არიან. ჩვენ ისტორიულად ამ თავისუფლებისთვის ვიბრძოდით და ახლაც ვიბრძვით, უფრო სწორად, ჩვენს თავს ვებრძვით, რადგან ადამიანმა პირველ რიგში თავისი თავი უნდა იპოვოს. შენ საიდან მოდიხარ, ეს უნდა იცოდე და თანამედროვე მსოფლიოს უნდა ელაპარაკო თანამედროვე ენაზე. „მონატრებიხარ ფიქრებს“ სწორედ ეს პროექტია — ქართული სითბო არ არის დაკარგული, მაგრამ არანჟირება და ჟღერადობა თანამედროვე ევროპულია. დამიჯერეთ, მთავარი ამ ცხოვრებაში სიყვარულია — თუ სიყვარული იქნება, აღარც ომი იქნება და აღარც შური, მაგრამ, თუ სიყვარული არ გვექნება, არაფერი გამოვა.

# იტალია დერბი დე იტალიას მოლოდინშია

## ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.03 | ჩელსი-ტოტენჰემი | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 24.03 | ბოლტონი-ბლექბერნი | 2.25 | 3.4 | 3.1 |
| 24.03 | სუონსი-ევერტონი | 2.2 | 3.2 | 3.4 |
| 24.03 | ლივერპული-უიგანი | 1.28 | 5.0 | 11.0 |
| 24.03 | არსენალი-ასტონ ვილა | 1.36 | 4.6 | 9.0 |
| 24.03 | ნორვიჩი-ვულვზი | 1.8 | 3.6 | 4.33 |
| 24.03 | სანდერლენდი-ქპრ | 1.85 | 3.4 | 4.33 |
| 24.03 | სტოკი-სიტი | 6.0 | 3.6 | 1.61 |
| 25.03 | ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი | 2.25 | 3.2 | 2.75 |
| 26.03 | მანჩესტერი-ფულემი | 1.22 | 5.0 | 10.0 |

### ჩელსი-ტოტენჰემი

ჩელსი: ***ტრავმ***-სალომონ კალუ(?), ჯონ ტერი(?), ორიოლ რომეუ

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ემანუელ ადებაიორი(?), აარონ ლენონი(?), მაიკლ დაუსონი

### ბოლტონი-ბლექბერნი

ბოლტონი: ***ტრავმ***-ფაბრის მუამბა, რიკარდო გარდნერი

ბლექბერნი: ***ტრავმ***-მიჩელ სალგადო, ვინსე გრელა

### სუონსი-ევერტონი

სუონსი: ***ტრავმ***-ეშლი უილიამსი(?), ანდრეა ორლანდი(?), კემი აუგუსტინი; ***დისკვ***-ნატან დაიერი

ევერტონი: ***ტრავმ***-ჯეკ როდველი(?), სიმუს კოულმენი(?), დარონ გიბსონი(?)

### ლივერპული-უიგანი

ლივერპული: ***ტრავმ***-მარტინ კელი(?), ლუი სუარესი(?), კრეიგ ბელამი(?), გლენ ჯონსონი(?), დანიელ აგერი, ლუკას ლეივა

უიგანი: ***ტრავმ***-უგო როდალეგა, მიკ პოლიტი, დავიდ ჯონსი

### არსენალი-ასტონ ვილა

არსენალი: ***ტრავმ***-აბუ დიაბი, სებასტიან სკილაჩი, პერ მერტეზაკერი, ემანუელ ფრიმპონგი, ჯეკ უილშირი

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-დარენ ბენტი, ფაბიან დელფი, კირონ კლარკი, რიჩარდ დანი

### ნორვიჩი-ვულვზი

ნორვიჩი: ***ტრავმ***-ჯეიმს ვაუგანი, დანიელ აიალა(?), დელკან რუდი

ვულვზი: ***ტრავმ***-ჯიმი ოჰარა, ნენად მილიიაჩი, დევიდ დევისი, კარლ ანრი; ***დისკვ***-რონალდ ზუბარი

### სანდერლენდი-ქპრ

სანდერლენდი: ***ტრავმ***-კირონ რიჩარდსონი(?), კირონ ვესტვუდი, ვესლი ბრაუნი, ტიტუს ბრამბლი

ქპრ: ***ტრავმ***-ადელ ტააბარტი(?), ფედერიკო მაკედა(?), ეიდარ ელგუსონი, დ.ჯ. კემბელი, კირონ დაიერი

### სტოკი-სიტი

სტოკი: ***ტრავმ***-მამადუ სიდიბე

სიტი: ***ტრავმ***-გარეთ ბერი, ჯოლეონ ლესკოტი, ვინსენტ კომპანი(?), პაბლო ზაბალეტა

### ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-მარტონ ფალოპი, პიტერ ოდემვიჯი, სტივენ რიდი, ზოლტან გერა

ნიუკასლი: ***ტრავმ***-ჩეიკ ტიოტე(?), რაიან ტეილორი, პეტერ ლოვეკრანდსი, შოლა ამეობი, ლეონ ბესტი, სტივენ ტეილორი, სილვიან მრვო; დისკვ-დან გოსლინგი

### მანჩესტერი-ფულემი

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ფილ ჯონსი(?), ანდერსონი, ნანი, ანდერს ლინდეგაარდი, ნემანია ვიდიჩი, მაიკლ ოუენი

ფულემი: ***ტრავმ***-ორლანდო სა, სტივ სიდველი, ჟდენეკ გრიგერა

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 29 | 22 | 4 | 3 | 73:27 | 70 |
| 2.სიტი | 29 | 22 | 3 | 4 | 71:21 | 69 |
| 3.არსენალი | 29 | 17 | 4 | 8 | 58:39 | 55 |
| 4.ტოტენჰემი | 28 | 16 | 5 | 7 | 53:35 | 53 |
| 5.ჩელსი | 28 | 14 | 7 | 8 | 49:34 | 49 |
| 6.ნიუკასლი | 29 | 13 | 8 | 8 | 41:41 | 47 |
| 7.ლივერპული | 28 | 11 | 8 | 9 | 35:29 | 41 |
| 8.სანდერლენ. | 29 | 10 | 7 | 12 | 36:33 | 37 |
| 9.ევერტონი | 29 | 10 | 7 | 12 | 28:32 | 37 |
| 10.სტოკი | 29 | 10 | 7 | 12 | 28:40 | 37 |
| 11.სუონსი | 28 | 9 | 9 | 10 | 32:34 | 36 |
| 12.ფულემი | 29 | 9 | 9 | 10 | 37:40 | 36 |
| 13.ვესტ ბრომვიჩი | 29 | 10 | 6 | 13 | 35:38 | 36 |
| 14.ნორვიჩი | 29 | 9 | 9 | 11 | 39:46 | 36 |
| 15.ას.ვილა | 28 | 7 | 12 | 9 | 21:35 | 33 |
| 16.ბლექბერნი | 29 | 7 | 7 | 15 | 42:60 | 28 |
| 17.ქპრ | 29 | 6 | 7 | 16 | 32:50 | 25 |
| 18.ბოლტონი | 28 | 7 | 2 | 19 | 31:57 | 23 |
| 19.ვულვზი | 29 | 5 | 7 | 17 | 30:63 | 22 |
| 20.უიგანი | 29 | 4 | 10 | 15 | 25:54 | 22 |

## ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.03 | მალიორკა-ბარსელონა | 12.0 | 5.5 | 1.25 |
| 24.03 | რეალი-სოსიედადი | 1.12 | 8.0 | 21.0 |
| 24.03 | ხეტაფე-ვალენსია | 3.1 | 3.25 | 2.3 |
| 25.03 | სარაგოსა-ატლეტიკო | 4.0 | 3.4 | 1.91 |
| 25.03 | ლევანტე-ოსასუნა | 2.05 | 3.3 | 3.6 |
| 25.03 | ესპანიოლი-მალაგა | 2.3 | 3.25 | 3.1 |
| 25.03 | ბილბაო-ხიხონი | 1.4 | 4.2 | 8.5 |
| 25.03 | რაიო-ვილიარეალი | 2.2 | 3.25 | 3.3 |
| 25.03 | ბეტისი-რასინგი | 1.75 | 3.5 | 4.75 |
| 26.03 | გრანადა-სევილია | 2.87 | 3.2 | 2.45 |

### მალიორკა-ბარსელონა

მალიორკა: ***ტრავმ***-ტომას პინა

ბარსელონა: ***ტრავმ***-ალექსის სანჩისი, ტიაგო ალკანტარა(?), ფონტასი, დავიდ ვილია, იბრაჰიმ აფელაი

### რეალი-სოსიედადი

რეალი: ***ტრავმ***-ფაბიო კოენტრაო, ანხელ დი მარია

სოსიედადი: ***ტრავმ***-არავინ

### ხეტაფე-ვალენსია

ხეტაფე: ***ტრავმ***-რაფა ლოპესი(?), ალბერტო ლოპო, ტეპო მასილელა(?); ***დისკვ***-დანიელ დიასი

ვალენსია: ***ტრავმ***-რიკარდო კოსტა, მიგელი, ევერ ბანეგა, სერხიო კანალესი; ***დისკვ***-ტინო კოსტა

### სარაგოსა-ატლეტიკო

სარაგოსა: ***ტრავმ***-ელდერ პოშტიგა; დისკვ-მაურისიო ლანძარო

ატლეტიკო: ***ტრავმ***-სილვიო, ტიაგო(?), დიეგო, ანტონიო ლოპესი(?)

### ლევანტე-ოსასუნა

ლევანტე: ***ტრავმ***-ხოსე ბაკერო(?), ხუანფრანი(?), ხუანლუ

ოსასუნა: ***ტრავმ***-ლოლო, იბრაჰიმ ბალდე, დეიან ლეკიჩი; მიგელ ფლანო

### ესპანიოლი-მალაგა

ესპანიოლი: ***ტრავმ***-რაულ როდრიგესი, კრისტიან ალვარესი, ხავი მარკესი(?); ***დისკვ***-რაულ ბაენა

მალაგა: ***ტრავმ***-ჟერემი ტულანანი, ჟულიო ბატისტა

### ბილბაო-ხიხონი

ბილბაო: ***ტრავმ***-აიტორ ოსიო, კარლოს გუპრეგი, ხავიერ კასტილიო; ***დისკვ***-გაისკა ტოკერო, ფერნანდო ამორობიეტა

ხიხონი: ***ტრავმ***-არნოლინ გრეგორი(?), მიგელ დე ლას კუევასი

### რაიო-ვილიარეალი

რაიო: ***ტრავმ***-მიკელ ლაბაკა, დანი ხიმენესი(?)

ვილიარეალი: ***ტრავმ***-ხუან ორიოლი, ხოსე კატალა, გუზეპე როსი

### ბეტისი-რასინგი

ბეტისი: ***ტრავმ***-არავინ

რასინგი: ***ტრავმ***-არავინ

### გრანადა-სევილია

გრანადა: ***ტრავმ***-უჩე იკეჩუკვუ(?), პაპე დიაკატე, ფრან რიკო(?), რობერტო(?), კარლოს მარტინსი(?), ჰასან იებდა; ***დისკვ***-ენრიკე

სევილია: ***ტრავმ***-ხესუს ნავასი(?), ფრედერიკ კანუტე(?), ალვარო ნეგრედო

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 28 | 23 | 3 | 2 | 90:25 | 72 |
| 2.ბარსელონა | 28 | 20 | 6 | 2 | 83:21 | 66 |
| 3.ვალენსია | 28 | 13 | 8 | 7 | 44:33 | 47 |
| 4.ლევანტე | 28 | 13 | 5 | 10 | 41:38 | 44 |
| 5.მალაგა | 28 | 13 | 5 | 10 | 42:40 | 44 |
| 6.ესპანიოლი | 28 | 11 | 7 | 10 | 36:37 | 40 |
| 7.ოსასუნა | 28 | 9 | 13 | 6 | 32:41 | 40 |
| 8.ატლეტიკო | 28 | 10 | 9 | 9 | 39:34 | 39 |
| 9.ბილბაო | 28 | 9 | 10 | 9 | 43:39 | 37 |
| 10.რაიო | 28 | 11 | 4 | 13 | 42:47 | 37 |
| 11.სევილია | 28 | 9 | 9 | 10 | 30:31 | 36 |
| 12.მალიორკა | 28 | 8 | 9 | 11 | 31:35 | 36 |
| 13.ხეტაფე | 28 | 9 | 9 | 10 | 27:35 | 36 |
| 14.სოსიედადი | 28 | 9 | 6 | 14 | 31:40 | 33 |
| 15.ბეტისი | 28 | 9 | 4 | 15 | 32:42 | 31 |
| 16.გრანადა | 28 | 9 | 4 | 15 | 27:43 | 31 |
| 17.ვილიარეალი | 28 | 6 | 10 | 12 | 28:42 | 28 |
| 18.რასინგი | 28 | 4 | 12 | 12 | 21:42 | 24 |
| 19.ხიხონი | 28 | 6 | 6 | 16 | 27:53 | 24 |
| 20.სარაგოსა | 28 | 5 | 7 | 16 | 24:51 | 22 |

## იტალია




| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.03 | მილანი-რომა | 1.67 | 3.5 | 5.5 |
| 24.03 | პალერმო-უდინეზე | 2.37 | 3.3 | 2.9 |
| 25.03 | ატალანტა-ბოლონია | 2.15 | 2.8 | 3.6 |
| 25.03 | ნაპოლი-კატანია | 1.57 | 3.75 | 6.0 |
| 25.03 | ნოვარა-ლეჩე | 2.3 | 3.2 | 3.1 |
| 25.03 | კიევო-სიენა | 2.5 | 2.5 | 3.8 |
| 25.03 | ჩეზენა-პარმა | 3.75 | 3.2 | 2.05 |
| 25.03 | ლაციო-კალიარი | 1.8 | 3.4 | 4.5 |
| 25.03 | ჯენოა-ფიორენტინა | 2.5 | 3.0 | 3.0 |
| 25.03 | იუვენტუსი-ინტერი | 1.61 | 3.6 | 6.0 |

### მილანი-რომა

მილანი: ***ტრავმ***-რობინიო(?), იგნასიო აბატე, მარკ ვან ბომელი(?), პატო, კევინ-პრინს ბოატენგი(?), ალესანდრო ნესტა, ანტონიო კასანო, მეტიუ ფლამინი; ***დისკვ***-ლუკა ანტონინი

რომა: ***ტრავმ***-მარკო კასერტი(?), ფრანჩესკო ტოტი(?), ხუანი, მირალემ პიანიჩი, ნიკოლას ბურდისო

### პალერმო-უდინეზე

პალერმო: ***ტრავმ***-გულიო მილიაჩიო, მატიას სილვესტრი, არმან ბაჩინოვიჩი; ***დისკვ***-ეზეკიელ მუნიოსი, ნიკოლას ბერტოლო

უდინეზე: ***ტრავმ***-მეჰდი ბენათია, დუშან ბასტა(?), ემანუელ ბადუ; ***დისკვ***-დიეგო ფაბრინი, მაურისიო დომიცი, ანტონიო ფლორო ტორესი

### ატალანტა-ბოლონია

ატალანტა: ***ტრავმ***-გაუდიო მარილუნგო, მატეო ბრიგი, დანიელე კალეპი; ***დისკვ***-კრისტიან დონი

ბოლონია: ***ტრავმ***-ფედერიკო კასარინი, ჰენრი ხიმენესი, სიმონე ლორია(?)

### ნაპოლი-კატანია

ნაპოლი: ***ტრავმ***-ჯანლუკა გრავა(?), ედისონ კავანი(?), კრისტიან მაჯო(?)

კატანია: ***ტრავმ***-სერჟიო ალმირონი(?), მარკო მოტა(?), მარკო ბიაჯიანტი, ალესანდრო პოტენცა, ანდრეა კამპანოლო

### ნოვარა-ლეჩე

ნოვარა: ***ტრავმ***-გაბრიელ სილვა, ფრანჩესკო მარიანინი, კარლალბერტო ლუდი

ლეჩე: ***ტრავმ***-ანდრეა ესპოზიტო(?), დავიდ დი მიკელე(?), ედვარდ ოფერე(?), ხულიო სერჯიო, კარლოს გროსმიულერი; ***დისკვ***-მასიმო ოდო

### კიევო-სიენა

კიევო: ***ტრავმ***-ჯენარო სარდო, ნიკოლა გულანი, სანტიაგო მორერო(?); ***დისკვ***-ლუჩიანო, ლუკა რიგონი

სიენა: ***ტრავმ***-მატია დესტრო(?), ანჯელო, ემანუელ კალაო, გაეტანო დაგოსტინო, ფრანჩესკო ბოლძონი; ***დისკვ***-კლაუდიო ტერზი

### ჩეზენა-პარმა

ჩეზენა: ***ტრავმ***-ჯუზეპე კოლუჩი, რობერტო გუამა, იორგ მარტისენი, სტივ ვონ ბერგენი; ***დისკვ***-მარკო როსი

პარმა: ***ტრავმ***-ალესანდრო ლუკარელი(?), მაკდონალდ მარიგა, მასიმო გობი(?), რაფაელე პალადინო(?), ***დისკვ***-კრისტიან ძაკარდო

### ლაციო-კალიარი

ლაციო: ***ტრავმ***-ხავიერ გარიდო, ფრანჩესკო მათუსალემი, სენად ლულიჩი, მარიუს სტანკევიჩუსი, ლორიკ კანა(?); ***დისკვ***-ანდრე დიასი

კალიარი: ***ტრავმ***-მიქელე ჯანინი, დანიელე დესენა, მუსტაფა ელ კაბირი, რუი სამპაიო

### ჯენოა-ფიორენტინა

ჯენოა: ***ტრავმ***-ემილიანო მორეტი, კევინ კონსტანტი, ჯურაი კუჩკა, ჯუზეპე სქული, ანდრეას გრანკვისტი, ლუკა ანტონელი, ჩეზარე ბოვო(?); ***დისკვ***-ბოშკო იანკოვიჩი

ფიორენტინა: ***ტრავმ***-ვალონ ბეჰრამი(?), პერ კლოდრუპი; დისკვ-ალესიო ჩერჩი

### იუვენტუსი-ინტერი

იუვენტუსი: ***ტრავმ***-ალესანდრო მატრი(?), ანდრეა ბარძალი; ***დისკვ***-სტეფან ლიხშტეინერი

ინტერი: ***ტრავმ***-დეიან სტანკოვიჩი(?), ვესლი სნეიდერი, ფრედი გუარინი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 28 | 18 | 6 | 4 | 57:22 | 60 |
| 2.იუვენტუსი | 28 | 14 | 14 | 0 | 44:16 | 56 |
| 3.რომა | 28 | 14 | 5 | 10 | 43:32 | 48 |
| 4.ლაციო | 28 | 14 | 6 | 8 | 42:34 | 48 |
| 5.ნაპოლი | 28 | 12 | 11 | 5 | 52:30 | 47 |
| 6.უდინეზე | 28 | 13 | 8 | 7 | 39:26 | 47 |
| 7.ინტერი | 28 | 12 | 5 | 11 | 38:36 | 41 |
| 8.კატანია | 28 | 10 | 11 | 7 | 36:35 | 41 |
| 9.ბოლონია | 28 | 9 | 9 | 10 | 31:33 | 36 |
| 10.პალერმო | 28 | 10 | 5 | 13 | 40:45 | 35 |
| 11.კიევო | 28 | 9 | 8 | 11 | 24:35 | 35 |
| 12.ატალანტა | 28 | 9 | 13 | 6 | 31:29 | 34 |
| 13.კალიარი | 28 | 8 | 10 | 10 | 29:35 | 34 |
| 14.ჯენოა | 28 | 9 | 6 | 13 | 35:49 | 33 |
| 15.სიენა | 28 | 8 | 8 | 12 | 32:30 | 32 |
| 16.ფიორენტინა | 28 | 8 | 8 | 12 | 27:33 | 32 |
| 17.პარმა | 28 | 7 | 10 | 11 | 33:44 | 31 |
| 18.ლეჩე | 28 | 6 | 8 | 14 | 31:45 | 26 |
| 19.ნოვარა | 28 | 5 | 8 | 15 | 24:46 | 23 |
| 20.ჩეზენა | 28 | 4 | 5 | 19 | 16:45 | 17 |

ატალანტას დაკლებული აქვს 6 ქულა

## გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.03 | ფრაიბურგი-კაიზერი | 2.0 | 3.3 | 3.8 |
| 24.03 | ვერდერი-აუგსბურგი | 1.67 | 3.75 | 5.0 |
| 24.03 | ბაიერნი-ჰანოვერი | 1.17 | 6.5 | 17.0 |
| 24.03 | გლადბახი-ჰოფენჰაიმი | 1.65 | 3.6 | 5.5 |
| 24.03 | მაინცი-ჰერტა | 1.7 | 3.6 | 5.0 |
| 24.04 | შალკე-ლევერკუზენი | 2.0 | 3.5 | 3.6 |
| 25.03 | შტუტგარტი-ნიურნბერგი | 1.8 | 3.5 | 4.5 |
| 25.03 | კიოლნი-დორტმუნდი | 8.0 | 4.5 | 1.4 |

### ფრაიბურგი-კაიზერი

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-ანტონ პუტსილა, ემანუელ ჰონი, ოლივერ ბარტი, პაველ კრმასი, ალექსანდერ შვოლოუ

კაიზერი: ***ტრავმ***-დორგ კუემაა, ლუკასი

### ვერდერი-აუგსბურგი

ვერდერი: ***ტრავმ***-ფილიპ ბაგფრედე, მარკო მარინი, ტიმ ვიზე, მარკო არნაუტოვიჩი, ტიმ ბოროვსკი, ნადლო, აარონ ჰანტი, პრედრაგ სტევანოვიჩი

აუგსბურგი: ***ტრავმ***-ჟან-ინგვერ კასლენ-ბრაკერი, აკაკი გოგია, მარსელ დე იონგი, დაუდა ბა

### ბაიერნი-ჰანოვერი

ბაიერნი: ***ტრავმ***-ივიცა ოლიჩი, ბასტიან შვაინშტაიგერი, ბრენო, დანიელ ვან ბუიტენი

ჰანოვერი: ***ტრავმ***-მამე ბირან დიუფი, ლეონ ანდრეასენი

### გლადბახი-ჰოფენჰაიმი

გლადბახი: ***ტრავმ***-პატრიკ ჰერმანი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-სრდან ლაკიჩი, ანდრეას იბერსტბერგერი, დენის ტომალა

### მაინცი-ჰერტა

მაინცი: ***ტრავმ***-ანტონი უია, ჟდენეკ პოსპეჩი, მარიო გავრანოვიჩი, ბო სვენსონი, მარსელ რიისე

ჰერტა: ***ტრავმ***-ფაბიან ლუშტენბერგერი, მაიკ ფრანცი

### შალკე-ლევერკუზენი

შალკე: ***ტრავმ***-ბენედიქტ ჰოუვედესი, ლარს უნგერსტალი, რალფ ფარმანი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ლარს ბენდერი, ვერდან ჩორლუკა, მიხაელ ბალაკი, სიდნეი სამი, ტრანკილიო ბარნეტა, რენე ადლერი

### შტუტგარტი-ნიურნბერგი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-შინჯი ოკაზაკი, სერდარ ტასკი, რაფაელ ჰოლჰაუზერი, ანტონიო რუდიგერი, კრისტოფ ჰელმეინი, იბრაჰიმა ტრაორე, სტეფანო ძელოზი

ნიურნბერგი: ***ტრავმ***-პატრიკ რაკოვსკი, მიკ ფრანცი, პერ ნილსონი

### კიოლნი-დორტმუნდი

კიოლნი: ***ტრავმ***-ადილ ჩიჩი, პეტიტი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-მარიო გიოტცე

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 26 | 18 | 5 | 3 | 53:16 | 59 |
| 2.ბაიერნი | 26 | 16 | 3 | 6 | 64:17 | 54 |
| 3.შალკე | 26 | 16 | 2 | 8 | 58:34 | 53 |
| 4.გლადბახი | 26 | 15 | 6 | 5 | 39:16 | 51 |
| 5.ლევერკუზ. | 26 | 11 | 7 | 8 | 39:34 | 40 |
| 6.ვერდერი | 26 | 11 | 6 | 9 | 40:39 | 39 |
| 7.ჰანოვერი | 26 | 9 | 11 | 6 | 34:36 | 38 |
| 8.შტუტგარტი | 26 | 10 | 6 | 10 | 43:34 | 36 |
| 9.ვოლფსბურგი | 26 | 10 | 4 | 12 | 34:47 | 34 |
| 10.ნიურნბერგი | 26 | 9 | 4 | 13 | 25:37 | 31 |
| 11.მაინცი | 26 | 7 | 9 | 10 | 38:41 | 30 |
| 12.ჰოფენჰაიმი | 26 | 7 | 9 | 10 | 29:37 | 30 |
| 13.კიოლნი | 26 | 8 | 4 | 14 | 33:50 | 28 |
| 14.ჰამბურგი | 26 | 6 | 9 | 11 | 30:48 | 27 |
| 15.აუგსბურგი | 26 | 5 | 11 | 10 | 27:40 | 26 |
| 16.ფრაიბურგი | 26 | 6 | 7 | 13 | 33:53 | 25 |
| 17.ჰერტა | 26 | 5 | 8 | 13 | 26:47 | 23 |
| 18.კაიზერი | 26 | 3 | 11 | 12 | 17:36 | 20 |

## საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.03 | ბრესტი-ნანსი | 2.3 | 2.87 | 3.6 |
| 24.03 | ლიონი-სოშო | 1.33 | 4.75 | 9.5 |
| 24.03 | ევიანი-ლილი | 3.6 | 3.2 | 2.1 |
| 24.03 | ნიცა-მარსელი | 3.25 | 3.2 | 2.3 |
| 24.03 | მონპელიე-სენტ ეტიენი | 1.75 | 3.4 | 5.0 |
| 24.03 | აიაჩო-ლორიენი | 2.235 | 3.2 | 3.2 |
| 24.03 | ვალანსიენი-რენი | 2.45 | 3.1 | 3.0 |
| 25.03 | ტულუზა-ოსერი | 1.7 | 3.6 | 5.0 |
| 25.03 | დიჟონი-კაენი | 2.25 | 3.2 | 3.2 |
| 25.03 | პსჟ-ბორდო | 1.61 | 3.4 | 6.5 |

### ბრესტი-ნანსი

ბრესტი: ***ტრავმ***-ალექსანდერ ალფონსე, დიალო გუიდილიე, ჯონათან აიიტე, გრეგორი ლორენცი, ბრეჰიმ ფერაჯი, ტომას მიკოლა, ლარსენ ტურე

ნანსი: ***ტრავმ***-ბენჯამინ იანო

### ლიონი-სოშო

ლიონი: ***ტრავმ***-იოან გურკუფი, ჯონ მენსა

სოშო: ***ტრავმ***-სედრიკ ბაკამბუ, მეტიუ პებერნე, პერ კროსი, სტივენ მოიოკოლო, იასინ მიკარი, ჟერემი ბრეჩე

### ევიანი-ლილი

ევიანი: ***ტრავმ***-სიდნეი გოვუ, ჯონათან მენსა, იანიკ საგბო, იუსეფ ადნანე, ფაბრის ერე, ბერნარდ ლაქუა

ლილი: ***ტრავმ***-მარკო ბაშა

### ნიცა-მარსელი

ნიცა: ***ტრავმ***-ერიკ მოლონგუ, ფაბრის არიელი, ნემანია პეჩინოვიჩი, დავიდ ჰალებიუკი, ხავიერ პენტეკოტე

მარსელი: ***ტრავმ***-ანდრე აუევი

### მონპელიე-სენტ ეტიენი

მონპელიე: ***ტრავმ***-ჟოფრეი დერნისი

სენტ ეტიენი: ***ტრავმ***-ჟან-პასკალ მინიო, ფაბიენ ლემო, იორიკ რავე

### აიაჩო-ლორიენი

აიაჩო: ***ტრავმ***-ფაბრის ბეჟორჟი. ლეიტი ნდიაე

ლორიენი: ***ტრავმ***-არანუდ ლელანი, ბენჯამინ ლეკომი, ჟილ სუნუ, ჩეიკ დაკური

### ვალანსიენი-რენი

ვალანსიენი: ***ტრავმ***-გაეტან ბონგი, გრეგორი პუიოლი, დუშან ჯურიჩი, კენი ლალა

რენი: ***ტრავმ***-ონეაკაჩი აპამი, იასინ ჯებო, ჩეიკ ფანტამანდი დიარა

### ტულუზა-ოსერი

ტულუზა: ***ტრავმ***-მაიკლ ფირმინი, ჟან-დანიელ აკპა-აკპრო, იოან პელე

ოსერი: ***ტრავმ***-ამადუ სიდიბე, ჟერემი ბერტო, იაია სანოგო, ადამა კულიბალი

### დიჟონი-კაენი

დიჟონი: ***ტრავმ***-დაისუკე მაცუი

კაენი: ***ტრავმ***-ნიკოლა სეუბე, მბიაიე ნიანგი, იბრაჰიმა ტანდია, ბრანკო ლაზარევიჩი

### პსჟ-ბორდო

პსჟ: ***ტრავმ***-კლემენტ ჩანტო, მაქსველი, მეტიუ ბოდმერი

ბორდო: ***ტრავმ***-ანდრე ბიოგო პოკო

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 28 | 17 | 8 | 3 | 52:29 | 59 |
| 2.მონპელიე | 28 | 17 | 6 | 5 | 52:27 | 57 |
| 3.ლილი | 28 | 13 | 11 | 4 | 50:31 | 50 |
| 4.ტულუზა | 28 | 13 | 8 | 7 | 30:24 | 47 |
| 5.ლიონი | 28 | 14 | 4 | 10 | 44:35 | 46 |
| 6.სტ.ეტიენი | 28 | 13 | 7 | 8 | 35:30 | 46 |
| 7.რენი | 28 | 12 | 8 | 8 | 37:32 | 44 |
| 8.ბორდო | 28 | 9 | 10 | 8 | 34:31 | 40 |
| 9.მარსელი | 28 | 10 | 9 | 9 | 35:29 | 39 |
| 10.ევიანი | 28 | 9 | 9 | 10 | 41:40 | 36 |
| 11.ვალანსიენი | 28 | 9 | 6 | 13 | 28:34 | 31 |
| 12.ლორიენი | 28 | 7 | 10 | 11 | 27:36 | 31 |
| 13.ბრესტი | 28 | 5 | 15 | 8 | 23:26 | 30 |
| 14.ნანსი | 28 | 7 | 9 | 12 | 26:36 | 30 |
| 15.დიჟონი | 28 | 8 | 6 | 14 | 34:48 | 30 |
| 16.აიაჩო | 28 | 7 | 9 | 12 | 30:48 | 30 |
| 17.კაენი | 28 | 7 | 8 | 13 | 32:42 | 29 |
| 18.ნიცა | 28 | 6 | 9 | 13 | 26:33 | 27 |
| 19.სოშო | 28 | 6 | 9 | 13 | 28:43 | 27 |
| 20.ოსერი | 28 | 4 | 12 | 12 | 33:43 | 24 |

# გურამ კაშიამ ვიტესთან კონტრაქტი გაახანგრძლივა

დასაწყისი მე-12 გვერდზე




მას ფეხბურთზე საუცხოო შეხედულება აქვს და ამის გაკეთება შეუძლია. მერაბთან ერთად ფეხბურთზე ბევრს ვსაუბრობთ. მე გარკვეულ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. თავიდანვე ვიცოდით, რომ იოლი არ იქნებოდა, რადგან გუნდში სხვადასხვა ეროვნების ბევრი ახალი ფეხბურთელი იყო. თუმცა, წინ მივიწევთ. ახალი საწვრთნელი კომპლექსი წინ გადადგმული კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი იქნება. ეს კლუბში პროფესიონალური ატმოსფეროს ჩამოყალიბებას ხელს უწყობს. ამიტომ მინდა, აქ 2016 წლამდე ვიყო, – განაცხადა კაშიამ კონტრაქტის გაფორმების შემდეგ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ბუნტი იურმუღანლოში

საგარეჯოს რაიონის სოფელ იორმუღანლოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელები საქართველოს ხელისუფლებას დაუპირისპირდნენ. სოფლის მაცხოვრებლების თქმით, მთავრობამ ის მიწები გაყიდა, რომელსაც წლების განმავლობაში იორმუღანლოს მოსახლეობა იჯარით ფლობდა, ამუშავებდა და თავს ირჩენდა. მიწის ახალმა მფლობელმა ამოსული ქერი და ხორბალი გადახნა.

იორმუღანლოს მაცხოვრებლებმა 21 მარტს ნოვრუზობის მისალოცად სოფელში ჩასულ „ქართული ოცნების" ლიდერებს დახმარება სთხოვეს. თინა ხიდაშელი, ზვიად ძიძიგური, გიორგი ცაგარეიშვილი და კახა შარტავა მოსახლეობას დახმარებას დაპირდნენ.

ასკან ველიევი, იორმუღანლოს მცხოვრები:

– მიწები გაფორმებული არა გვქონდა, ჩვენი სოფლისა იყო და წლების განმავლობაში ვხნავდით. ხალხმა კრედიტი აიღო და მოხნეს მიწები. სხვამ იყიდა ჩვენი მიწები, არც ვიცოდით. ქერი უკვე მოსული იყო, დათესეს ზედ. ეხლა იმ ხალხმა რა ქნას, კრედიტი რით უნდა დაფაროს? ეხლა მარტო ოჯახის ეზოში გვაქვს მიწა. იქით ცხვარი რომ გარეკავ, გვეუბნებიან, წადით აქედანო. ჩვენ საქონელს არ უნდა საძოვარი? არ უშვებენ. საძოვარიც გაყიდულია, მოხნული ადგილებიც გაყიდულია, სოფელს იქით ვერ მივდივართ, სულ გაყიდულია. გვეუბნებიან, თქვენი ადგილი აქ არ არის. ირანელი ან ამერიკელი ყიდულობს მიწებს. თუ საქონელს არ უშვებენ, რა აზრი აქვს იორმუღანლოში ცხოვრებას, ავდგებით და წავალთ აზერბაიჯანში. ჩვენი პატრონი არ არის. ვაჭრობაა რა, თავიანთთვის. ხალხს ბინები ჰქონდა აშენებული, გარეკეთ ქათმები, წადით აქედანო.

ნადიგ გარიბოვი, იორმუღანლოს მცხოვრები:

– აქ იყო ფერმა, ცხვარი, ძროხა იყო. ვინც ეს საქმე გააკეთა, იმათ გვითხრეს, რომ კაი ფულს გადავიხდით, რომ თქვენ გახვიდეთო და მერე სადაც გინდათ წადითო, თქვენი დრო მორჩა, ვსიო. 20 ფერმა არი, ყოველ ფერმაში 15-20 კაცის საქონელი იყო. 5 000-ზე მეტი ჰექტარი მთავრობამ გაყიდა. უცხოელი



კაცი იყო, მანქანით. აგე, მაგათი ტრაქტორი მუშაობს, 10 ტრაქტორი. ამოსულ ხორბალს ხნავენ. ჩვენი დეპუტატი და სოფლის გამგებელი ჩუმად არიან, მაგათი ხმა არ იყო. დღეს არ მოსულა არავინ, ყველა წავიდა სხვა ადგილზე არ ვაინტერესებთ. დაცვა და პოლიცია დგას, ხალხს არ უშვებენ იქით. თუ ხორბალი არ გააკეთე, ქერი არ გააკეთე, სიმინდი არ გააკეთე, რა უნდა გააკეთო? ამით ცხოვრობს ხალხი. აუქციონზე გავიდა მიწები, რამდენიმე მილიონ ევროდ. ეს როგორი კანონია, ხალხის მიწები გაყიდა. ეს მთავრობა მე რად მინდა, არ მინდა. აზერბაიჯანის საელჩოს უნდა მივმართოთ.

მამაკაცი (ვინაობა არ გაამჟღავნა), თულარის მცხოვრები:

– პატრონი არა გვყავს, ეს ნიშნავს ზუსტად, რომ პატრონი არა გვყავს. წადით აქედან, ამით გვეუბნებიან. ჩვენც ხომ საქართველოში ვცხოვრობთ, როგორ შეიძლება ესეთი რამე, გადახვნა როგორ შეიძლება, ცოდონი არა ვართ კაცო? სოფელში ზოგი ქვრივი ქალები არიან, ერთი მეასედი მიწა ჰქონდათ, წართვეს. როგორ შეინახოს ეს ქალები ბავშვები? ხალხი ტირილი დაიწყეს, ეხლა მე ტირილი მამდის ხოლმე. ცოდონი არა ვართ? თესლი იყიდა საწყალი კაცი, ჩაყარა, ეხლა აგე, ცხრა ათი ტრაქტორი დგას და ხნავს. რა გავაკეთოთ. არცერთ კაცს არა აქვს უფლება, რომ გამგეობის ნებართვის გარეშე მოხნას მიწა. ნებართვას ვიღებდით და ისე ვხნავდით. ...საბჭოში მიმიყვანენ, ხვალე, ხვალზევით, რატო უთხარიო?

– ყოფილა ასეთი შემთხვევა?

– რას ამბობს ეს, ქართულად არ გელაპარაკები? ბევრჯერ. 60 წლისა ვარ, ადამიანობას გეფიცები, ღამე მოდიან... ეხლა ტელევიზორში რომ მნახავენ, ღამე პოლიციას გამომიგზავნიან და წამიყვანენ, შენ რას ლაპარაკობ. რწმუნებული მეტყვის, შენ ვინ გითხრა, წადი და ილაპარაკეო, ვინ გკითხავსო".

იორმუღანლოს მოსახლეობა მასობრივი საპროტესტო აქციებით იმუქრება.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი სოფელ იორმუღანლოში მიწების გასხვისების ფაქტზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაუკავშირდა, სადაც კომენტარი არ გააკეთეს.

***კახეთის საინფორმაციო ცენტრი***

# საქართველო-აზერბაიჯანი ევრომასპინძლობას 15 მაისამდე გადაწყვეტს

სტამბოლში საქართველოსა და აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელების შეხვედრა შედგა. შეგახსენებთ, რომ შესაძლოა, 2020 წელს გასამართი ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობაზე საქართველომ და აზერბაიჯანმა განაცხადი ერთობლივად შეიტანონ. სწორედ ამ საკითხზე უნდა ემსჯელათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავკაც დომენტი სიჭინავას და აზერბაიჯანული ფეხბურთის ხელმძღვანელს როვნაგ აბდულაევს.

მასპინძლობისთვის აუცილებელი მინიმალური კრიტერიუმი – სტადიონების რაოდენობა და მათი ტევადობა. საქართველომ და აზერბაიჯანმა ტურნირის ფინალური სტადიის მასპინძლობის სურვილი, რომელშიც მონაწილეობას 24 გუნდი მიიღებს, არა უგვიანეს, ამა წლის 15 მაისს უნდა დააფიქსირონ.

რატომ შედგა შეხვედრა სტამბოლში? იმიტომ, რომ თურქეთის დედაქალაქში დასრულდა უეფას აღმასრულებელი კომიტეტის ორდღიანი შეხვედრა, რომლის დროსაც, ევროპული ფეხბურთის მმართველმა პირებმა რამდენიმე გადაწყვეტილება მიიღეს. ცხადია, ჩვენთვის ყველაზე საინტერესო სწორედ 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობაა. თუ რატომ, ეს თავშივე გითხარით.

აღმასრულებელი კომიტეტის შეხვედრის შემდეგ ცნობილი გახდა ის ზოგადი დებულებები, რომლებიც ევროპის 2020 წლის მასპინძლობის მსურველმა ქვეყნებმა უნდა გაითვალისწინონ.

თავდაპირველად, უეფას ყველა წევრს დაეგზავნება ის მინიმალური მოთხოვნები, რომლებსაც ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი სტადიონები უნდა აკმაყოფილებდნენ. საფეხბურთო ასოციაციებს ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობაზე განაცხადის შეტანის ვადა 15 მაისამდე ექნებათ.

თუ უეფაში ერთი განაცხადი შევა, ორგანიზაციის წარმომადგენლები მასპინძელ ქვეყანას მხოლოდ მას შემდეგ დაამტკიცებენ, რაც ტურნირის სათანადო დონეზე ჩატარების გარანტიებს მიიღებენ.

თუ ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილს 2 ან მეტი კანდიდატი გამოთქვამს, უეფა მათ თავიანთი უპირატესობების დასამტკიცებლად თვრამეტ თვეს მისცემს.

განაცხადის შეტანის პროცესთან დაკავშირებით უფრო დეტალური ინფორმაცია მოგვიანებით გავრცელდება. ამჟამად ცნობილია, რომ ევრო 2020-ის მასპინძელი ქვეყანა ცნობილი 2013 წლის ბოლოს, ან 2014 წლის დასაწყისში გახდება.

